ლელო

№ 39
(11 291)

25 – 27 მაისი, 1999 წ.    ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მოჭიდავეების „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

ასეთი ნადავლით ბრუნდებიან შინ საქართველოს წარმომადგენლები საბერძნეთის დედაქალაქ ათენის საერთაშორისო ტურნირიდან კრივში. მათგან სამი ასპარეზობის პრიზიორი გახდა. კერძოდ, პირველი მძიმე წონის ფოთელმა ვლადიმერ ჭანტურიამ, რომელიც ფინალში გავიდა, ეს გადამწყვეტი შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალს დაეპატრონა. მესამე საპრიზო ადგილები კი წილად ხვდათ 51 კგ წონის თბილისელ დათო ადამაშვილსა და მესტიელ ლაშა იოსელიანს (57 კგ).



## მართლა ჩუბინი!

ქართველი ოლიმპიელი ნინო სალუქვაძე წარმატებით აგრძელებს მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებზე გამოსვლას. ამჯერად იგი მიუნხენში გამოდიოდა და 41 ქვეყნის 119 უძლიერეს მსროლელთან იბრძოდა წარმატებისათვის. აქ ფაქტობრივად თავი მოიყარა ყველა რჩეულმა (გარდა იუგოსლაველი იასნა სეკარიჩისა). საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის სახელზე მიუნხენიდან გამოგზავნილი ფაქსით, ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი გივი ბოსტოღანაშვილი იტყობინება, რომ ნინომ აშკარა უპირატესობით სძლია ყველა მეტოქეს სპორტული პისტოლეტის 25 მ. სროლაში (60 გასროლა) და პირველობა მოიპოვა – 583+103,0=686,0, მეორე იყო რუსეთელი ოლგა კუზნეცოვა – 581+100,7=681,7, მესამე – ტაო ლუნა (ჩინეთი) – 582+98,7=680,7. შედარებისთვის მოვიტანთ სხვა მაჩვენებლებსაც: 4. სუნ ვი (ჩინეთი) – 582+97,3=679,3. 5. ენკელეიდა ხინაკი (ალბანეთი) – 581+97,8=678,8, 6. დორხურენ მუკბაი (მონღოლეთი) – 581+97,8=678,8, 7. სპეკ სლავომირა (პოლონეთი) – 581+95,3=676,3, 8. მაგურ ჟიულიტა (პოლონეთი) – 580+95,1=675,1.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

### საბოლოო სატურნირო მდგომარეობა

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | დინამო (თბ) | 30 | 24 | 5 | 1 | 91-17 | 77 |
| 2. | ტორპედო | 30 | 21 | 4 | 5 | 73-27 | 67 |
| 3. | ლოკომოტ. | 30 | 18 | 10 | 2 | 43-14 | 64 |
| 4. | კოლხეთი | 30 | 15 | 7 | 8 | 57-36 | 52 |
| 5. | დინამო (ბთ) | 30 | 13 | 11 | 6 | 49-22 | 50 |
| 6. | მერანი | 30 | 12 | 9 | 9 | 37-29 | 45 |
| 7. | ვიტ-ჯორჯია | 30 | 14 | 5 | 11 | 42-29 | 44 |
| 8. | იბერია | 30 | 11 | 5 | 14 | 45-48 | 38 |
| 9. | არსენალი | 30 | 9 | 11 | 10 | 34-44 | 38 |
| 10. | დილა | 30 | 10 | 5 | 15 | 37-54 | 35 |
| 11. | სამგურალი | 30 | 10 | 3 | 17 | 30-56 | 33 |
| 12. | გორდა | 30 | 7 | 11 | 12 | 28-46 | 32 |
| 13. | სიონი | 30 | 7 | 7 | 16 | 27-52 | 28 |
| 14. | თსუ | 30 | 6 | 9 | 15 | 28-46 | 27 |
| 15. | ოდიში | 30 | 6 | 2 | 22 | 21-70 | 20 |
| 16. | გურია | 30 | 3 | 4 | 23 | 36-87 | 13 |

„ვიტ-ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა.

## შსს აკადემია თუ ღარნუალი? გუშინ გადაწყდა – ღარნუალი!

გუშინ, მაუდკამვოლის კომბინატის სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში საქართველოს პირველობის II ჯგუფის ბოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა – შსს აკადემიამ უმასპინძლა თელავის „კახეთს“. მოგების შემთხვევაში თბილისელები ჯგუფში პირველ ადგილზე გადიოდნენ, რაც მათ I ჯგუფში გადასვლის შანსს აძლევდათ. ეს მატჩი დასრულდა ფრედ – 0-0. პირველობის მეორე პრეტენდენტს, ძველი ანაგის ღარნუალს, მეტოქე-მასპინძელი „დინამო-3“ არ გამოუცხადდა და მას მოგება ჩაეთვალა 3-0, რამაც პირველობა და პირველ ჯგუფში გადასვლის შანსი მოუტანა.

## ევერესტის დაპყრობის შემდეგ – ფაქსი ნეპალიდან

### საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ბ-ნ კახი ასათიანს

ბ-ნო კახი!

საქართველოს ალპინისტთა ჯგუფი „მშვიდობიანი კავკასია 99“-ის მონაწილენი ბედნიერნი ვართ გიპატაკოთ, რომ 1999 წლის 12 მაისს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად მოხდა ევერესტის (8848 მ.) დალაშქვრა და რაოდენ საამაყოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების წელს და ქართული ალპინიზმის საიუბილეო 75 წლისთავზე, რომელსაც საფუძველი დიდმა მეტალურგმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ნიკოლაძემ ჩაუყარა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული და სულიერი სიმბოლიკა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზეა. ჩვენს გულშემატკივრებს, სპორტის ქომაგებს გამცნობთ, რომ საქართველოს გუნდის ყველა წევრი ავედით მწვერვალზე, ხოლო თბილისელმა ლევან სარქისოვმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ევერესტის უხუცეს დამპყრობთა შორის – 60 წლისა და 161 დღის ასაკში გააუმჯობესა ესპანელი რომან ბლანკოს მიღწევა.

ექსპედიციის „მშვიდობიანი კავკასია-99“.
ბენო ქაშაკაშვილი (ხელმძღვანელი),
აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე, ლევან სარქისოვი.



28, 29, 30 მაისი 1999 წელი

# ღია მსოფლიო ჩემპიონატი სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში

## (INTERNATIONAL OPEN)

### „კავკასიის თასი“-99-ის ბრადიციული გათამაშება

მონაწილეობენ: მოცეკვავე წყვილები: საქართველოდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ლიბანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებიდან და სხვა.
სპონსორები: ვნუკოვოს ავიახაზები, ლიდერი პოლიგრაფიაში და რეკლამაში შ.პ.ს. I-LINE +, გაზეთი „ორთა-ბრძოლა“ (დასაწყისი: 11 და 17 საათზე).

## ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯაფარიძე



# ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

1962 წლის 2 მაისს ქუთაისის ფეხბურთის ისტორიაში პირველი მატჩი ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატზე „ა“ კლასის გუნდებს შორის. ტორპედოელებმა მაშინ ანგარიშით 4:2 დაამარცხეს თავიანთი მოსკოველი თანაგუნდელები. სასტარტო შეხვედრები დებიუტანტისათვის საინტერესოდ და ძნელად წარიმართა, მიუხედავად იმისა, რომ გამოუცდელობამ და წამყვანი ფეხბურთელების ავადმყოფობამ თავისი დაღი დაასვა გუნდის თასაყურადღებოა, რომ ქუთაისელთა სათამაშო დისციპლინა სანიმუშოდ მიიჩნიეს უმაღლესი ლიგის ყველა გუნდისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ტორპედოელებმა 1962 წლის საფეხბურთო სეზონში სამართლიანად დაიმსახურეს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზი „სამართლიანი თამაშისათვის“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქუთაისის მეორე გუნდის „იმერეთის“ წარ-



1959 წ., ქუთაისის „ტორპედო“

მაშს, „ტორპედომ“ 22 გუნდს შორის მე-15 ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა ისეთი ძლიერი გუნდები, როგორებიც იყვნენ: ლენინგრადის „დინამო“, ერევნის „სპარტაკი“, მინსკის „ბელორუსი“, „კაირატი“, „დაუგავა“, „ჟალგირისი“ და სხვა.

რაც მთავარია, ტორპედოელთა გამოსვლებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მაყურებლები გულთბილად ხვდებოდნენ: ეს შემთხვევითი არ ყოფილა. მათ მოსწონდათ ქუთაისელთა არა მარტო ენთუზიაზმი და ენერგიული თამაში, არამედ გუნდის ტაქტიკური სრულყოფაც, რაც სანახაობითადაც მოსაწონს ხდიდა ქუთათურების თამაშს.

მატება რესპუბლიკურ სარბიელზე. გუნდმა წარმატებით იასპარეზა საქართველოს პირველობაზე და რესპუბლიკის 1962 წლის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა.

საქართველოს 1962 წლის ჩემპიონის ქუთაისის „იმერეთის“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ვ. კვახაძე, ა. მარგველაშვილი, ნ. საფაროვი, დ. აბუთიძე, შ. ჩიტიანი, ნ. მიქაია, ჯ. გვიმრაძე, ა. გორდაძე, ვ. შალამბერიძე, გ. წულაძე, ქ. კვიტივაძე, ქ. ჩუხუა, თ. ჭოლოკავა, ქ. გოგიაშვილი, გ. ჯიმშიაშვილი, გ. წერეთელი, ა. ლაბახუა, ა. აფ-

იხ. მე-5 გვ.

დასაწყისი. იხ. „ლელო“ №36, 37, 38

## ძიუდო ევროპის ჩემპიონატი

# სრული გუნდით – ორი მედალი

ჩვენს ძიუდოისტებს, მიუხედავად ქვეყანაში საერთო გაჭირვებისა, ნამდვილად არ აკლიათ ყურადღება და ხელშეწყობა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან უფრო საიმედოდ სწორედ მათგან მოველით ოლიმპიურ მედლებს სიდნეიდან. მართალია, ოლიმპიადის სალიცენზიო ასპარეზობები ჯერ წინაა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატი იმ დონის ასპარეზობაა, სადაც შენი სიტყვა აუცილებლად უნდა თქვა, აუცილებლად უნდა დაუმტკიცო მეტოქეებს, რომ ანგარიშგასაწევი ძალა ხარ. თუმცა, რაც უფრო ახლოვდება ოლიმპიური თამაშები, მით უფრო თავგამოდებით იბრძვის ყველა, მით უფრო ჩქარი ტემპით მიდის ღირებულებათა გადაფასება. ჩვენი ნაკრები კონტინენტის ჩემპიონატზე (ბრატისლავა) საბრძოლო და სრული შემადგენლობით გაემგზავრა და, რა დასამალია, ორი ბრინჯაოს მედალი, რომელიც მათ წილად მოდის, ერთობ მოკრძალებულ შედეგად გამოიყურება. იმ ორი მედლიდან, რომელიც ჩვენებს ხვდათ, ერთი ნესტორ ხერგიანის (60 კგ) წილად მოდის, მეორე კი გიორგი ვაზაგაშვილმა (70) მოიპოვა.

# SOS



როცა ქვეყანაში სპორტისადმი ყურადღება შენელდება, ნარკომანიის აყვავება იწყება. ამ სენმა სოფლებშიც მოიკიდა ფეხი. შეადარეთ: აღმოსავლეთ საქართველოში თუ-რმე ქართული ჭიდაობის არც ერთი ფასიანი ჯგუფი არ შემორჩა...
პროფესორ ავთანდილ ციბაძის წერილს ამ პრობლემასთან დაკავშირებით მე-3 გვერდზე გთავაზობთ.

## კანონი, რომელიც არ სრულდება

ამონაწერი „საქართველოს კანონიდან სპორტის შესახებ“.

**თავი მეოთხე. მუხლი 13.** სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებები.

1. სპორტულ სკოლებს, კლუბებს, სექციებსა და სკოლისგარეშე სხვა დაწესებულებებს, რომლებიც ფუნქციონირებენ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და სხვა საწყისებზე, ევალებათ ბავშვებისა და ახალგაზრდების მიზიდვა და ჩაბმა გამაჯანსაღებელ და სპორტულ მეცადინეობებში.

ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში, საქართველოში 52 ათასმა მოზარდმა მიატოვა მეცადინეობა სპორტში. ეს უდიდესი ტრაგედიაა ქვეყნისთვის. 52 ათასი ბავშვი ქუჩაში აღმოჩნდა, სპორტი მიუწვდომელ ოცნებად იქცა თითოეული მათგანისთვის. მიზეზი?

სპორტსკოლების დაუფინანსებლობა, ინვენტარის უქონლობა, მშობელთა სილატაკე, რომლებსაც არა აქვთ მატერიალური შესაძლებლობა სპორტში ბავშვის მეცადინეობისთვის ფული გადაიხადონ. საბოლოო ჯამში ხომ ქართული სპორტიც ზარალდება. ბატონო საქართველოს განათლების მინისტრო, თქვენს სისტემაში დასაქმებული ათიათასობით სპორტის სპეციალისტები უკანასკნელ იმედად თქვენ მიგიჩნევენ, მათ წარმომადგენლებს სურთ თქვენთან შეხვედრა და პრობლემების განხილვა. იმედია, თქვენი კეთილი ნებით ისინი მოაღწევენ თქვენამდე. ნუ გაუცრუებთ მათ იმედს. გახსოვდეთ ის 52 ათასი მოზარდი, მათი რიგები კი კატასტროფულად იზრდება. ნათქვამია „ვინც დროულად შველის, ორმაგად შველისო!“



# პროგრამა მინიმუმი ვერ შეასრულეს

შვეიცარიაში, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ტურნირი მიმდინარეობდა, ჩვენმა ვაჟმა კალათბურთელებმა, როგორც ადრე გაუწყეთ, პირველი მატჩი დათმეს მასპინძლებთან, შემდეგ მოიგეს ირლანდიელებთან და პორტუგალიელებთან, მაგრამ ისევ წააგეს ბელგიელებთან, ბოლოს კი დანიელებთან დამარცხდნენ ანგარიშში დიდი სხვაობით 89:108, რითაც თავისი „მოღვაწეობა“ დაასრულეს – მომავალ ჩემპიონატამდე. „ლელოს“ წინა ნომერში ქართული კალათბურთის უბადრუკობის მიზეზებზე გვქონდა საუბარი, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, დავძენთ მხოლოდ: ამ მარცხმა იქნებ ერთხელ და სამუდამოდ დაგვაფიქროს იმაზე, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

## მილოცვა



### ბატონ გურამ თოხაძეს

**ბატონო გურამ,**

გულითადად მოგესალმებით და მოგილოცავთ დაბადების 65 წლისთავის იუბილეს.

თქვენს მიერ განვლილი გზა სპორტული მოღვაწეობისა ჭეშმარიტი მაგალითია უდიდესი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა.

სწორედ მაღალი პასუხისმგებლობა და უდიდესი თავდადება გახლავთ იმ წარმატებათა საფუძველი, რომელსაც თქვენი აღსაზრდელები აღწევენ სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებზე, ტურნირებსა და მსოფლიო ოლიმპიურ თამაშებზე.

მოხარული ვარ, რომ დღესაც ჩვეული ვაჟკაცური შემართებით ემსახურებით ქართული სპორტის წინსვლას, ნიჭიერი მოზარდი თაობის დაოსტატებას, რითაც უდიდესი წვლილი შეგაქვთ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეში.

ბატონო გურამ,

კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს, მადლობას მოგახსენებთ გაწეული შრომისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას.

კვლავაც დიდხანს გვლავწროთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ე. შევარდნაძე

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები, სპორტის ოსტატები ***დავით გოგია*** და ***ლევან ნოდია*** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

*ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ცნობილ ვეტერან კალათბურთელს და სპორტის მუშაკს* ***ვალერი ლომაძეს.***





ქ. თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანება დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს ღვაწლმოსილ პედაგოგს, ამავე გაერთიანების მთავარ სპეციალისტს ***შალვა მუხიგულაშვილს.***

**?** **შეკითხვა:** ბჭობენ იმის თაობაზე, რომ კალათბურთში საქართველოს ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში პლეი-ოფის მატჩებში მნიშვნელობა მიენიჭება გუნდების მიერ ჩემპიონატში მანამდე ერთმანეთში ნათამაშებ შედეგებს, ზოგიც ამტკიცებს, რომ პლეი-ოფებში ყველაფერი იწყება თავიდან. სად არის სიმართლე?

*ავთანდილ და კახაბერ სალარიძეები, რუსთავი.*

**პასუხი:** ის ოთხი გუნდი, რომელიც შემდეგ ეტაპზე გააგრძელებს თამაშს დებულების შესაბამისად ასე დაწყვილდება: I ადგილზე გასული ხვდება IV ადგილზე გასულს, II-ზე გასული III ადგილზე მყოფს.

ნახევარფინალში გუნდები ერთმანეთს ხვდებიან წინა ეტაპზე მათ შორის ჩატარებული თამაშების შედეგების გათვალისწინებით. თუ მათ შორის შეხვედრათა ანგარიშია 4:0, მაშინ გამარჯვებული გუნდი ნახევარფინალში შედის 2 მოგებით, ხოლო ნახევარფინალი თამაშდება 4 მოგებამდე; 3:1-ზე გამარჯვებული გუნდი ნახევარფინალში შედის 1 მოგებით, ხოლო ნახევარფინალი თამაშდება 3 მოგებამდე;

2:2-ზე გუნდები ნახევარფინალში შედიან თანაბარ პირობებში, ხოლო ნახევარფინალი თამაშდება 3 მოგებამდე.

ფინალშიც ანგარიში გაეწევა პირველი ეტაპის შედეგებს 4:0 ან 3:1-ზე ნახევარფინალისაგან განსხვავებით გამარჯვებული გუნდი ფინალში შედის 1 მოგებით, 2:2-ზე გუნდები ფინალში შედიან თანაბარი პირობებით. ფინალი ყველა შემთხვევაში თამაშდება 3 მოგებამდე.

**ჩოგბურთი** **თბილისის საერთაშორისო ტურნირი**

## 23 მაისიდან 56 ქართველია ევროპის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა რეიტინგში

მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში საშეჯიბრო სისტემა და უძლიერესთა გამოვლენის კრიტერიუმი, ალმასვლის მაჩვენებლებით, თანდათან იხვეწება. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერს არეგულირებს რეიტინგი და განსაზღვრულია თვით ის შეჯიბრებებიც, სადაც შეიძლება გამოიმუშაო სარეიტინგო ქულა. ქვეყნები სახსრებს არ იშურებენ, რათა თავიანთ სპორტსმენებს მსოფლიო რეიტინგში წინსვლის შესაძლებლობა მისცენ. საქართველოზე არაფერს ვამბობთ, რადგან არათუ ტურნირებზე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში და მის წინარე ეტაპებზე მონაწილეობაც კი პრობლემადაა ქცეული. ასეთ ვითარებაში კარგ მაგალითს იძლევა ჩვენი ჩოგბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი ლეილა მესხი), რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ სარეიტინგო ტურნირები ჩვენსავე ქვეყანაში ჩაატაროს. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ამ დღეებში კი ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებმა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომლის მონაწილეთა რაოდენობა ჩვენთვის სარეკორდო იყო — 125. 14-16 წლის ჩოგბურთელები გვეწვივნენ რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ხორვატიიდან. ერთი მონაწილე ჩვენი თანამემამულე ნინო შოვნაძე პოლონეთიდანაც ჩამოვიდა.





ტურნირის აფიშა

ფედერაციას სამაგალითო თანადგომა აღმოუჩინა ავიაკომპანია „ავსტრიის ხაზებმა“, რომელიც ტურნირის ძირითადი სპონსორი იყო და მთავარი პრიზი — თასიც მან დააწესა. ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს აგრეთვე „ალდაგმა“, „მეგაკომმა“, „ჰეინეკენმა“, „ალიანს კავკასიამ“, „სამგორმა“, „რუსთავი-2“-მა, რადიო „ფორტუნამ“, რადიო „ერამ“, „შერატონ მეტეხ პალასმა“, „ადიდასმა“, „კომპეტმა“, პურის კომბინატმა „კოლხეთმა“, სეოკ-მა, ცხადია, თვით ფედერაციამ.

ეს ახალგაზრდული ტურნირი ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის ეგიდით გაიმართა და IV კატეგორიის სტატუსი მიიღო. კონტინენტის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში გამარჯვებულებს ერიცხებათ 40 ქულა, ფინალისტებს — 30, ნახევარფინალისტებს — 20, მეოთხედფინალისტებს — 10, მერვედფინალისტებს — 5 (თითოეულს).

**ტურნირის დირექტორის ლალი ზერეკიძის კომენტარი:** „დღემდე საქართველოდან მხოლოდ 7 ახალგაზრდა ჩოგბურთელი შედიოდა ევროპის სარეიტინგო სიაში. ამ ტურნირით ეს სია გაიზარდა... 49 ქართველით და ახლა სულ 56-ს ვითვლით. შეჯიბრების დამთავრებისთანავე გადავეცი საერთაშორისო ფედერაციას ახალი სია და ჩვენები უკვე შეიტანეს კომპიუტერში. საერთოდ რეიტინგში ცვლილებები ყოველი კვირის ბოლოს შედის, რადგან ტურნირები კვირიდან კვირამდე ტარდება განუწყვეტლივ. თუ ვიტყვით, რომ ზოგჯერ გაიჭირვებ, ფულს დაახარჯავ სპორტსმენს, გააგზავნი შეჯიბრებებზე და ის კი ძირითად ბადეშიც ვერ ხვდება, ცხადი გახდება რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ამ ტურნირის ჩვენთან ჩატარება, რომელიც მომავალში ტრადიციული გახდება“.









გაგაცნობთ ფინალისტებს და გამარჯვებულებს ასაკის მიხედვით. თამარ ზედგენიძე — ნინო ესებუა 4:6, 6:3, 6:2. სოფიო მელიქიშვილი — თამარ ახობაძე 6:3, 6:0, ანდრო თოლორაია — კონსტანტინე ბურჭულაძე 5:7, 4:6; ლადო ჩიხლაძე — ალექსანდრე ჩიგოგიძე 6:4, 6:3. ***წყვილები:*** ნანა უროტაძე — თინათინ ყაველაშვილი — ნატო ელიზბარაშვილი — ნინო შოვნაძე 6:0, 6:3; ზედგინიძე — ესებუა — თამარ რცხილაძე — ანა ჩიჩუა 6:2, 6:1; ჩიხლაძე — ჩიგოგიძე — ასათიანი — ითონიშვილი 6:1, 6:2; კონსტანტინ ბურჭულაძე — მირიან ქორქაშვილი 7:5, 6:4.













ც. ბაქრაძე

## ჭიდაობენ არმიელები



დიღმის საჭიდაო კომპლექსში საქართველოს შეიარაღებული ძალების I სპარტაკიადის პროგრამით 9 გუნდი და 60 არმიელი ათლეტი ასპარეზობდა თავისუფალ ჭიდაობაში.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა არმიის სპორტულმა კლუბმა, მეორე იყო გვარდიის სამმართველოს, მესამე დაცვის სამსახური.

პირადი პირველობა: 54 კგ: 1. თემურ ჩარბაძე, 2. თემურ კუბლაშვილი, 3. შოთა ლომიძე; 58 კგ: 1. გიორგი ქონიაშვილი, 2. რევაზ რობაქიძე, 3. ვასილ ბაბუციძე: 63 კგ: ჯამბულ სანაყოშვილი, 2. მამუკა ბარამიძე, 3. გიორგი ინტბელიძე; 69 კგ: ოთარ თუშიშვილი, 2. თემურ ხუბულური, 3. დიმიტრი ზაუტაშვილი; 76 კგ: დავით გაგიშვილი, 2. გიორგი სულაძე, 3. თემურ ძიძიგური; 85 კგ: 1. გია ჩირალიშვილი, 2. ალექსანდრე ავსაჯანიშვილი, 3. ალექსანდრე კახნიაშვილი; 97 კგ: 1. ზვიად ბიძიშვილი, 2. შოთა ხუროშვილი, 3. მერაბ ახობაძე; 130 კგ: 1. ილია გელაძე, 2. ხვიჩა ახალაძე, 3, უჩა ჩაგელიშვილი.

ნაკრები მონაწილეობას მიიღებს არმიელთა მსოფლიო ჩემპიონატში.

სოსო გაგნიძე


ახალი მიმართულება

თბილისი-ტრაბზონი

ყოველ ძუთრას გაფრენა თბილისიდან 22.55 სთ-ზე.

ტრაბზონი - თბილისი

ყოველ ორშაბათს გაფრენა ტრაბზონიდან 09.35 სთ-ზე.



სხვა რეისები:

ათენი. ხალონიკი. თელ-ავივი. მოსკოვი. კიევი.
სანკტ-პეტერბურგი. ეკლნბურგი. როსტოვი. სოჭი. თეირანი.

GEORGIAN AIRLINES
საქართველოს ავიახაზები

ბილეთების დაჯავშნა და შეძენა შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეტეხი<br>შერატონ მეტეხი პალას-ოტელი<br>ტ.941268 | ეარ ჯორჯია<br>რუსთაველის 48<br>ტ.294053 | გალაქსი სიტი<br>კოსტავას 47<br>ტ. 920920,920930 | არგო-ტური<br>გაზაფხულის 8<br>ტ. 292779, 292706<br>მარჯანიშვილის 5<br>ტ.952634,953985<br>ქეთევან წამებულის 7<br>ტ. 999042 | ლევონ თრეველი<br>ჭავჭავაძის 20<br>ტ.250010,250060 |
| ინტერსერვისი<br>ლესელიძის ქ. 6<br>ტ.936814, 996381 | ინტერტური<br>ფალიაშვილის 9<br>ტ.942641,942446 | ბერიკა<br>კოსტავას 14<br>ტ. 932829,982283 | | მეგა ტური<br>აღმაშენებლის 61<br>ტ.942999,942113 |

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

## პირველი ჯგუფი XXX ტური ბოლო ტური

**დინამო (თბილისი) — სამგურალი (წყალტუბო) 6-0**

***დინამო:*** გვარამაძე, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, დიდავა, მაჭავარიანი, გუჩუა (ვაშაკიძე, 46), კიკნაძე (გოგიჩაიშვილი, 60), ალექსიძე, ა. მუჯირი, აშვეთია, ა. სახვაძე.
***სამგურალი:*** ასლანაძე, ღონღაძე, ფრანგიშვილი, ქობულაძე (შვანგირაძე, 46), ჯავახაძე, ნაკანი, აფციაური (გაბელაია, 46), დარსაძე, ჭიჭინაძე (ნებიერიძე, 4, 46), გლუნჩაძე, ქუთათელაძე.
***გოლები:*** კიკნაძე (6), აშვეთია (20,50), მუჯირი (45), ალექსიძე (64), ხიზანიშვილი (84).
***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**არსენალი (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 0-1**

***არსენალი:*** ჩლაიძე, ცოტაძე (ყუფარაძე, 46), ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ვ. გაგუა, ხოსროშვილი, ამირიძე, კაკაშვილი, ტარიელაშვილი.
***დინამო:*** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მჟავანაძე, გადელია, ქუტიძე, რომანაძე (ვერემჩუკი, 84), ყულეჯიშვილი, აფხაზავა, ლ. ხომერიკი (კანტიძე, 90).
***გოლი:*** რომანაძე (17).
***გააფრთხილეს:*** ყოლბაია, რომანაძე.
***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) — იბერია (სამტრედია) 3-1**

***კოლხეთი-1913:*** გვასალია, გოროზია, ანჯაფარიძე, შალამბერიძე, გიორგაძე, ჩადუნელი, ღლანაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, ქობულაძე (ამაშუკელი, 73), შავგულიძე.
***იბერია:*** ვარდინიძე, მიქელაძე, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მუმლაძე (ვარდიაშვილი, 46), თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, ლურსმანაშვილი, ვ. გიგიაძე, ივეჩიანი.
***გოლები:*** ღლანიძე (13,60), ტრაპაიძე (14), ვ. გიგიაძე (40).
***გააფრთხილეს:*** ვ. გიგიაძე, ივეჩიანი.
***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**სიონი (ბოლნისი) — ტორპედო (ქუთაისი) 1-2**

***სიონი:*** გუგუნავა, ხიდაშელი (ასათიანი, 63), ტყავაძე (დ. ჯაფარიძე, 46), სვანიძე, გ. ჩალაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, მ. გოგოლაძე, ისიანი, თ. სამხარაძე, მოსეშვილი (არჩვაძე, 52).
***ტორპედო:*** სტურუა, თურმანიძე, კვერნაძე, გ. გოგოლაძე, მაღლაკელიძე, მუშკუდიანი, კ. ჯანაშია, ვადაჭკორია, მეტრეველი, იმედაძე, გენებაშვილი.
***გოლები:*** ტყავაძე (14), იმედაძე (37), მეტრეველი (78).
***მსაჯი:*** ა. შილაკაძე (თბილისი).

**თსუ (თბილისი) — ლოკომოტივი (თბილისი) 1-4**

***თსუ:*** მერლანი, ქანთარია, სვანაძე, ინწკირველი, გვილია, ბუკია, ნინუა, გონჩაროვი, დეკანოსიძე (სულავა, 59), დ. გოგოლაძე (ჭელიძე, 77), ადამია (პერტენავა, 67).
***ლოკომოტივი:*** დოლაბერიძე, ბაქრაძე (გილაური, 87), ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი, კაციაშვილი, გოგობერიშვილი, კოტორაშვილი (წივწივაძე, 46), კ. მელქაძე, დ. გოდერძიშვილი, ღუდუშაური (ქოიავა, 73).
***გოლები:*** გოგოლაძე (12), გოგობერიშვილი (63, პ), წივწივაძე (69,85), ქოიავა (86).
***გააფრთხილეს:*** ბუკია, გოგოლაძე.
***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი)



**გორდა (რუსთავი) — გურია (ლანჩხუთი) 2-2**

***გორდა:*** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური (რ. მახარაძე, 75), სიდამონიძე, ჩიგოშვილი, ინასარიძე (მ. სახვაძე, 78), მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი, პატარიძე (ზ. ლაბაძე, 64), ლ. ალადაშვილი.
***გურია:*** გოგუა, თ. ჩხაიძე, ლ. სვანიძე, მაჩიტაძე, ფირცხალაშვილი, გულორდავა, შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე, ჭიაბრიშვილი.
***გოლები:*** ინასარიძე (10), ალადაშვილი (38), დ. მახარაძე (43), სვანიძე (83),
***მსაჯი:*** ლ. მიქლთაძე (სამტრედია).

**მერანი-91 (თბილისი) — დილა (გორი) 4-0**

***მერანი:*** ლომაია, ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ბაჯელიძე, კარიაული, (ჭინჭარაული, 46), ქორიძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა (ბერაია, 46), ამბიძე, ხუციშვილი, დავითაშვილი.
***დილა:*** სოღოლაშვილი, ფაზუაშვილი, აკოფიანი, ლომიძე, გოჩაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე, 70), მარეხაშვილი (ხიხალაშვილი, 70), სულთანიშვილი, ახალკაცი, შატაკიშვილი, ქარელიძე.
***გოლები:*** დავითაშვილი (46), ამბიძე (67), ხუციშვილი (70), დევიძე (75).
***გააფრთხილეს:*** ფაზუაშვილი.
***მსაჯი:*** ვ. ასკაროვლი (ქარელი).

**ოდიში — ვიტ-ჯორჯია 1-3**

## XXX ტურის სტატისტიკა

● ტურის ***მოვლენად*** შეიძლება მივიჩნიოთ:
1. ზუგდიდის „ოდიშის" ზედიზედ მე-12 დამარცხება.
2. ზედიზედ 13 დამარცხების შემდეგ, როგორც იქნა, ქულა აიღო ლანჩხუთის „გურიამ".

● ტურის 8 მატჩში გატანილია 31 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 3,7 ბურთი).
მასპინძლებმა გაიტანეს 18 ბურთი, სტუმრებმა — 13.

● მასპინძლებმა გაიმარჯვეს 3 შეხვედრაში, ერთი მატჩი დამთავრდა ფრედ, ხოლო 4 შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა.

● ტურში დაფიქსირდა 3 დიდი ანგარიშით მოგება („დინამო" თბ, „მერანი-91" და „ლოკომოტივი").
სულ ჩემპიონატში დაფიქსირდა 53 დიდი ანგარიშით მოგება.

● ტურში „მშრალად" შეინახეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: ნ. ტოგონიძემ („დინამო" ბთ), გ. ლომაიამ („მერანი-91"), დ. გვარამაძემ („დინამო" თბ).

● ტურში „დუბლი" შეასრულეს შემდეგმა ფეხბურთელებმა: მ. აშვეთიამ („დინამო" თბ); ღლანიძემ („კოლხეთი-1913"); წივწივაძემ („ლოკომოტივი").
სულ ჩემპიონატის დაწყებიდან შესრულებულია 72 „დუბლი".

● ტურში დაინიშნა ერთი „პენალტი" (გოგობერიშვილმა გაიტანა).
სულ დანიშნულია 73 პენალტი.

● ტურში 2 ფეხბურთელი (ბარნოვი — „ლოკომოტივი" და გვალია — „თსუ") გააძევეს, ხოლო 15 გააფრთხილეს.
ყველაზე „უხეში" მატჩი იყო: „თსუ" — „ლოკომოტივი", სადაც 2 ფეხბურთელი გააძევეს და 2 გააფრთხილეს.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო" თბ) — 26 ბურთი.
დ. მახარაძე („გურია") — 21
ლ. ხომერიკი („დინამო" ბთ) — 18
ზ. იონანიძე („ტორპედო") — 16
პ. წივწივაძე („ლოკომოტივი") — 15
დ. ჯანაშია („ტორპედო") — 14
გ. მეგრელაძე („ტორპედო") — 13
მ. გვასალია („კოლხეთი-1913") — 13
რ. ალექსიძე („დინამო" თბ.) — 13
ზ. ზირაქიშვილი („არსენალი") — 11
პ. მაჭუტაძე („დინამო" ბთ.) — 11
გ. შენგელია („სამგურალი") — 11

**ვეფხვია ჯალაღონია,**
**აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.**



### მ. მესხის სახელობის პირველობა

მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:
ბოლნისი — დილა (გორი)
მართვე (ქუთ) — ავაზა
ზესტაფონი — მამული (რუსთ)
დინამო-84 — თელავი
დინამო (ბთ) — მეგრი (ზუგ)
ოლიმპიკი — ხაშური
ქობულეთი — ლაზიკა
დედ.წყარო — 35-ე სკ.
***მატჩები ჩატარდება 24-28 მაისს, მეოთხედფინალები — 1-5 ივნისს, ნახევარფინალი — 9 ივნისს, ფინალი — 13 ივნისს.***

### ს. მეტრეველის სახელობის პირველობა



მერვედფინალში ითამაშებენ:
მამული (რუსთ) — დინამო-1
დილა (გორი) — ლაგოდეხი
დინამო-2 — 35-ე სკ. (რუსთ.)
დინამო (ბთ) — განათლება (ბთ)
განათლება (ქუთ) — თელავი
ახტალა — წალენჯიხა
ლაზიკა — ხაშური
წყალტუბო — 35-ე სკ.
***მერვედფინალები — 24-28 მაისი, მეოთხედფინალები — 1-5 ივნისს, ნახევარფინალი — 10 ივნისს, ფინალი — 14 ივნისს.***

## პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თასის გათამაშება მინიფეხბურთში

### IV ტურის შედეგები

| | |
|---|---|
| მთაწმინდა — პლატო-99 | 8-0 |
| სარბიელი — მილანი-ავლაბარი | 5-7 |
| სპორტული საქართველო - დრონი | 0-0 |
| სონიკი — ლიდერი | 1-6 |
| კავკასიონი — დილომი | 2-6 |
| ფალავანი — მეტროპოლიტენი | 3-1 |
| ვაკე-75 — ვაკე-1 | 1-4 |
| მეტეხი — ვერა | 3-1 |
| მაესტრო — 7 დღე | 7-2 |
| დიდუბე — თემქა | 4-3 |

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეტეხი | 4 | 4 | 0 | 0 | 17-5 | 12 |
| 2. | მაესტრო | 4 | 4 | 0 | 0 | 16-8 | 12 |
| 3. | ფალავანი | 4 | 3 | 1 | 0 | 16-4 | 10 |
| 4. | დილომი | 4 | 3 | 1 | 0 | 16-7 | 10 |
| 5. | დრონი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| 6. | მთაწმინდა | 4 | 3 | 0 | 1 | 25-3 | 9 |
| 7. | მილ.-ავლაბ. | 4 | 3 | 0 | 1 | 17-13 | 9 |
| 8. | სპორტ.საქარ. | 4 | 2 | 1 | 1 | 11-8 | 7 |
| 9. | ვაკე-1 | 4 | 2 | 0 | 2 | 18-5 | 6 |
| 10. | ვერა | 4 | 2 | 0 | 2 | 19-10 | 6 |
| 11. | სარბიელი | 4 | 2 | 0 | 2 | 14-17 | 6 |
| 12. | 7 დღე | 4 | 2 | 0 | 2 | 10-16 | 6 |
| 13. | მეტროპოლ. | 4 | 1 | 0 | 3 | 8-12 | 3 |
| 14. | ლიდერი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-13 | 3 |
| 15. | პლატო-99 | 4 | 1 | 0 | 3 | 10-21 | 3 |
| 16. | კავკასიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 8-19 | 3 |
| 17. | დიდუბე | 4 | 1 | 0 | 3 | 5-30 | 3 |
| 18. | ვაკე-75 | 4 | 0 | 0 | 4 | 8-18 | 0 |
| 19. | თემქა | 4 | 0 | 0 | 4 | 7-18 | 0 |
| 20. | სონიკი | 4 | 0 | 0 | 4 | 6-20 | 0 |

### ბომბარდირები:

1. კოკა რუსაძე (მთაწმინდა) 15
2. რამაზ ღვალიშვილი (მილანი-ავლაბ) 11
3. ლექსო მარგიანი (მეტეხი) 7
4. ემზარ ბედინეიშვილი (ფალავანი) 7
5. დათო კუპავა (ვერა) 7
6. კოკა ბიბილეიშვილი (ვაკე 1) 6
7. გოჩა გეგეჭკორი (მაესტრო) 5
8. დათო ქობელაშვილი (დილომი) 5
9. კახა ბაზარაშვილი (მეტროპოლიტენი) 5.

### V ტური

**29 მაისი. შაბათი**
13.00 ფალავანი — ვაკე-1
14.00 ვაკე-75 — ვერა
15.00 მეტეხი — 7 დღე
16.00 მაესტრო — თემქა
17.00 დიდუბე — პლატო-99

**30 მაისი, კვირა**
11.00 მთაწმინდა — მილანი-ავლაბარი
12.00 სარბიელი — დრონი
13.00 სპორტ. საქართველო — სონიკი
14.00 მეტროპოლიტენი — დილომი
15.00 კავკასიონი — ლიდერი.

თასის გათამაშების „ბ" ჯგუფში ჩართვის მსურველებმა მიმართონ საქართველოს სახელმწიფო სპორტის დეპარტამენტში (ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ა) ტრისტან გელაშვილს ან თემურ დოლიძეს (ტელეფონები 23-55-93, 23-51-72) 28 მაისის 17.00 საათამდე.
„ბ" ჯგუფის კენჭისყრა ჩატარდება 29 მაისს 18.00 საათზე სპორტის დეპარტამენტის სპორტდარბაზში.

## „სპორტი ერის ღონეა!"

ეს სიტყვები ჩვენს ღირსეულ მამულიშვილს ნიკო კეცხოველს ეკუთვნის. სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებდა დიდი მეცნიერი, რომელმაც ამ სენტენციით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ სპორტის უგულებელყოფა ერის ფიზიკური უძლურებისა და სულიერი სიღატაკის ყველაზე საშიში სათავეა.

ამ სენტენციამ კიდევ ერთხელ შემახსენა თავი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სწავლულთა თავყრილობაზე, რომელიც ახლახან ჩატარდა და ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემას მიეძღვნა.

ღონისძიება საკმაოდ საქმიანი და საინტერესო გამოდგა, მაგრამ როდესაც დავინახე, რომ გამომსვლელთაგან არავინ ახსენა სპორტი, — როგორც ნარკომანიისა და სხვა უბედურებათაგან ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების პროფილაქტიკის ერთ-ერთი ფენომენი, — სიტყვაში გამოსვლა ვითხოვე, რაც რეგლამენტის შეზღუდულობის გამო ეს აღარ მოხერხდა.

გავითვალისწინე რა ის გარემოება, რომ გადატვირთულობის მიუხედავად, გაზეთი „ლელო" ზემოხსენებულ საჭირბოროტო პრობლემას არასოდეს ტოვებდა უყურადღებოდ, გადავწყვიტე — ამ შეკრებაზე სათქმელი მოკლე სიტყვა გაზეთის ფურცლებიდან მიმეწოდებინა მკითხველისათვის.

* * *

ამ ორმოცი წლის წინათ, როდესაც სპორტის აკადემიაში ფაკულტეტს ვხელმძღვანელობდი, ერთ-ერთი ცნობილი მწვრთნელი შემოვიდა დეკანატში და შეშფოთებულმა გამანდო: ეს და ის სტუდენტი (მან მისი გვარი და სპორტული სპეციალობა დამისახელა) აღარ იცნობა, ეს ძლიერი სპორტსმენი ახლა მცირე ფიზიკურ დატვირთვასაც ვერ უძლებს და ლამის გულწასული ტოვებს არენასო.



მეორე დღეს ამ სტუდენტთან ერთად ჩავიკეტე დეკანატში და პერანგის სახელოები დავაკაპიწებინე; როდესაც მკლავებზე დაჩირქებული ნანემსარები შევნიშნე, და მიზეზი ვკითხე „განმარტა" — ავად გავხდი და ნემსები გამიკეთესო. იმავე დღეს ბინაზე ვეწვიე და მშობლებთან ერთად დავადგინე, რომ მათი შვილი ნარკოტიკებს „დაუმეგობრდა". ოჯახში საგანგებო ვითარება გამოცხადდა. და რადგან ეს დამღუპველი ჩვევა ახალი დაწყებული ჰქონდა, შედარებით ადვილად დავაძლევინეთ იგი. ასე „გასცა" და ფაქტიურად — უშველა სპორტმა კიდევ ერთ ახალგაზრდას...

* * *

ამ ორი წლის წინათ ტურისტი სტუდენტების ჯგუფი კოჯრიდან კუს ტბაზე ჩამოვიყვანე; დავუყევით თბილისისაკენ ჩამომავალ მოასფალტებულ გზას და გაოგნებულნი დავრჩით: გზის გაყოლებით მთელი ერთი კილომეტრის მანძილზე, წყალსადინარი თხრილი ისე იყო ამოვსებული ნახმარი ერთჯერადი შპრიცებით, რომ მათ გასაზიდად საბარგო მანქანა გახდა საჭირო.

საუბედურო ფაქტია, რომ ნარკომანიისა და სხვა უზნეობათა დონე სპორტული ცხოვრების დონის პირდაპირპროპორციულია. როცა ჩვენი ქალაქების ეზოებში, მარტივი ტიპის მოედნებსა თუ სკოლების ბაზებზე დუღდა სპორტული ცხოვრება, ნარკომანიას ჩვენი დიდი ძალისხმევის გარეშეც ებორკებოდა ხელ-ფეხი, მაგრამ ახლა? ჩვენი სოფლების მოედნებსა და ქალაქების ეზოებში საბედისწერო დუმილია გამეფებული. გაქრა დიდი სპორტული ტრადიციები (რაღაზე უნდა ილაპარაკო მას შემდეგ, როცა გაიგებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებშიც კი ქართული ჭიდაობის არც ერთი ფასიანი სექციაც აღარ მოქმედებს). სწორედ მსგავსი გარემოებების პირდაპირპროპორციულია ის, რომ ნარკომანიას ქალაქთან ერთად უკვე რაიონებშიც გაეხსნა ხელ-ფეხი.

სპორტი — ნარკომანიის გავრცელების ეს ერთ-ერთი მთავარი შემფერხებელი, სულს ღაფავს საქართველოში. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმ გარემოებას, რომ მასობრივი სპორტი აღარ ფინანსდება და ფაქტობრივად იგი აღარ არსებობს; არც ე.წ. დიდი სპორტია კარგ დღეში; ჩვენი პარლამენტის მიერ მასზე გამოყოფილი ბიუჯეტი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისათვის სპორტსმენთა მცირერიცხოვანი ჯგუფის მომზადებისა და გამგზავრებისათვის საჭირო ხარჯებსაც ვერ გასწვდება.

ჩვენივე უთავობითა და უგერგილობით, დავქოლეთ რა სპორტი, — ზემოხსენებული საშინელი სენის შემაფერხებელი ეს უებარი ფენომენი, — ხელფეხგახსნილი ნარკომანიაც დაუბრკოლებლად ბობოქრობს, და მხოლოდ მარტო ღმერთმა იცის — რა საბედისწერო სიურპრიზებს შემოგვთავაზებს ახლო მომავალში.

**ავთანდილ ციბაძე,**
**პროფესორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრი**

## ბილიარდი გ. კობოსნიძის თასის გათამაშება

# თავი შეგვახსენა

თბილისელებს, რომ იტყვიან, არასოდეს შეუქცევიათ ზურგი ჭეშმარიტად ამ უპოპულარულესი თამაშისათვის. არც საბილიარდოებში ყოფილა სათამაშო მაგიდების მოცლა, მაგრამ, აი, ის შეჯიბრებები ქალაქელებს რომ ახსოვთ, იმავე ფუნიკულიორზე მოსკოვის „სპარტაკსა" და საქართველოს ნაკრებს შორის, რომელშიც გამოდიოდნენ კიის ჯადოქრები ბეილისი, ბადამოვი, ლითანიშვილი, ახალგაზრდა გივი კობოსნიძე და სხვა, დავიწყებას მიეცა რატომღაც. ამიტომ, ალბათ მადლობა უნდა ვუთხრათ უკვე სიჭარმაგეში შესულ იმავე გივი კობოსნიძეს ამ მივიწყებული ასპარეზობის აღორძინებისათვის, ამჯერად, მხოლოდ კლასიკურ პირამიდაში.

გივი კობოსნიძის თასი, ასე დაარქვა ვეტერანმა მობილიარდემ პრიზს, რომლის გათამაშებას ამ თამაშის ძველმა ცენტრმა, მუშტაიდის საბილიარდომ უმასპინძლა და თასს საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჰყავდა პრეტენდენტი.

პრიზი ორ ასაკობრივ ჯგუფში — 60 წელს გადაცილებულებსა და 60 წლამდე მოთამაშეებს შორის გათამაშდა, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ტურნირის დაძაბულობას რომ მოჰყვა. მან კულმინაციურ წერტილს ბოლო, დასკვნით შეხვედრებში მიაღწია ისე, რომ მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა ორივე ასაკში პირველობა ფინალისტთა წყვილებისათვის მიენიჭებინა.

პირველ ჯგუფში (60-წლიანებს ზევით) გაიმარჯვეს თბილისელებმა თამაზ შილაკაძემ და რობერტ ჯილავდაროვმა. მეორე ადგილზეა ცნობილი კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ინწკირველი, მესამეზე — ბათუმელი ედუარდ ჯოჯუა. მეორე ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: 1. დავით ალექსიძე, თეიმურაზ დონაძე, 2. ჯემალ მესხი (სამივე — თბილისი), 3. ზურაბ ორკოდაშვილი (თელავი).

**ჯ. უნგიაძე**

# 26 მაისს ბარსელონაში: „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბაიერნი“

## ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ

ესპანელებმა დიდი მონდომების შედეგად, ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის ჩატარების უფლება რომ მიიღეს, რა თქმა უნდა, ამ გადამწყვეტ შეხვედრაში თავიანთი კლუბის მონაწილეობას ვარაუდობდნენ. სინამდვილეში კი, როგორც ვხედავთ, სულ სხვანაირად მოხდა. თუმცა განა იგივე არ დაემართათ ინგლისელებსა და რუსებს! არც ბირმინგემის შეხვედრაში ყოფილა ბრიტანული ფეხბურთის წარმომადგენელი, და, არც მოსკოვში, ნავარაუდევი რუსული გუნდი.

ისე კი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი მეტისმეტად ლოგიკურად გვეჩვენება: სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ბაიერნი“ არიან ამჟამად უძლიერესები ევროპულ საკლუბო ფეხბურთში. ხოლო თუ ვინ არის მათ შორის უკეთესი?

ორივე ფინალისტს გადამწყვეტი შეხვედრის წინ ძალზე ძნელი მატჩები ჰქონდა. თითქოს შედარებით იოლი მაინც ინგლისელთა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო, რომელთა მეტოქე ტურინის „იუვენტუსი“ ერთ მომენტში ფაქტობრივად დაიშალა და ახალმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავიდან დაიწყო ყველაფერი. მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს ისიც უთხრეს, რომ „ბებერ ქალბატონს“ გარდაქმნის არაჩვეულებრივი უნარი აქვს. ფერგიუსონს მაინცდამაინც არა სჯეროდა ამისა: „დიახ, მათ უზარმაზარი გამოცდილება აქვთ, რაც შესაძლებლობას აძლევთ თვით უკიდურესად კრიტიკულ მომენტშიც კი პანიკამ არ მოიცვას, ... მაგრამ გამოცდილება არ იძლევა მწვერვალებზე მუდმივად ყოფნის შესაძლებლობას“.

შესაძლოა ეს ასეცაა, მაგრამ მანჩესტერის უკვე პირველმა მატჩმა „ოლდ ტრაფორდზე“ ის კი აჩვენა, რომ გამოცდილება ფეხბურთში მაინც ძალიან ბევრს ნიშნავს. უფრო კონკრეტული თუ ვიქნებით, ვთქვათ რომ ტურინელებს მეტოქის მინდორზე ისე ეჭირათ თავი, თითქოს შინ თამაშობენო. ისინი ბევრს უტევდნენ, აწუხებდნენ მეკარე შმეიხელს, მათმა კაპიტანმა კონტემ გოლიც გაიტანა. „ტაქტიკური თვალსაზრისით ჩვენმა გუნდმა პირველი ტაიმი იდეალურად წარმართა — განაცხადა თამაშის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ — ჩვენ ხანგრძლივად გვეჭირა ბურთი, ვაიძულეთ “მანჩესტერი“ შეცდომები მოსვლოდა. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ ასე ბოლომდე ვერ ვითამაშეთ“.

დიახ, მეორე ტაიმში ინგლისელებმა მოახერხეს ზიდანისა და დავიდსის თამაშიდან გამორთვა. მშვენივრად წარმართა მთელი შეხვედრა გიგზმა, რომელსაც აშკარად ვერ უმკლავდებოდა ზორან მირკოვიჩი. სწორედ მან, ბევრი „ჩვენი დროის ბესტს“ რომ უწოდებს, შეძლო 89-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება 1-1.

მატჩის შემდეგ ალექს ფერგიუსონს, რომელმაც შეაქო მსაჯობა, ოდნავადაც არ დაუკარგავს ოპტიმიზმი: „დიახ, ჩვენ არასოდეს მოგვიგია იტალიაში, მაგრამ ამ სეზონში სტუმრად უკეთესადაც კი ვთამაშობდით, ვიდრე შინ და ამიტომაც იმედიანად ვართ განწყობილი“.

მწვრთნელის სიტყვები საბოლოო ანგარიშით გამართლდა კიდეც. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საპასუხო შეხვედრაში დაამტკიცა რომ მეტოქეზე ძლიერია, თუმცა მანამდე უმძიმესი წუთების გადატანა მოუხდა. საქმე ის არის, რომ უკვე 12 წუთის შემდეგ ანგარიში იყო 2-0 მასპინძლების სასარგებლოდ, ამასთან, ორივე გოლი ფილიპო ინძაგიმ გაიტანა. შემდეგ კი, როგორც მკითხველმა კარგად იცის, ამას კინის, იორკისა და კოულის სამი ბურთი მოჰყვა. აქედან მესამე, გადამწყვეტი, მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გავიდა.

როგორც საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა როჟე ლემერმა განაცხადა, „ინგლისელები უკეთესად თამაშობდნენ, ძალების სრული რწმენითა და ეფექტურობით“. მაშინაც კი, როცა ანგარიში 0-2 გახდა, ერთი წუთითაც არ დავვეჭვებულვართ, რომ ვითამაშებდით ისე, როგორც წინასწარ დავგეგმეთ“ — ეს სიტყვები უკვე მანჩესტერელთა ცენტრალურ მცველს, ჰოლანდიელ იაპ სტამს ეკუთვნის. „მეორე ტაიმში პრაქტიკულად ზედმეტი არაფერი გაგვიკეთებია“ — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა, კარლო ანჩელოტიმ კი გულახდილად აღიარა, რომ თამაშის ხარისხის თვალსაზრისით ინგლისელები, რა თქმა უნდა, უკეთესები იყვნენ.

ერთი სიტყვით, ეჭვიც კი არავის შეუტანია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ სრულიად ღირსეულად გავიდა ფინალში.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, აქ არანაკლებ მძაფრი ბრძოლა გაიმართა, ამასთან, შეიძლება წინა წყვილთან შედარებით ერთგვარი ანალოგიის გავლებაც. რა ითქვა მაგალითად კიევში „დინამოსა“ და მოუნხენის „ბაიერნის“ მატჩის საკმაოდ უჩვეულო ანგარიშით 3-3 დამთავრების შემდეგ. რომლითაც გერმანელები სავსებით კმაყოფილი დარჩნენ. მოვუსმინოთ „ბაიერნის“ მწვრთნელ ოტმარ ჰითცფელდს:

„3-3 შედეგი სავსებით გვაძლევს ხელს. ეს ანგარიში, როგორც მეჩვენება, სავსებით დავიმსახურეთ კიდეც. „ბაიერნმა“ მოიგერია ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის შეტევა. მართალია, დაცვაში ძალზე ბევრი შეცდომა მოგვივიდა. იმ სამიდან ორი გოლი მაინც არ უნდა გაგვეშვა. ამასთან, ჩემი მოთამაშეებიც უნდა შევაქო, რომლებმაც 1-3-ზე არ შეწყვიტეს წინააღმდეგობა. არ დაწყნარდნენ, მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა ანგარიშში, უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოდნენ. მშვენივრად ვიცი, რომ „დინამო“ თანაბარი ძალით თამაშობს როგორც შინ, ისე სტუმრად. და მაინც მიუნხენში ჩვენ წარმატების 51 პროცენტი გვაქვს, კიეველებს კი 49.

ვალერი ლობანოვსკი არ დაეთანხმა სტუმარს, „ჩემი კოლეგა ჰითცფელდი ძალზე გამოცდილი სპეციალისტია. მან საკმაოდ შინაარსიანად და ზუსტად გაანალიზა თამაში. ერთადერთი, რაშიც არ შემიძლია დავეთანხმო, ეს მომავალი მატჩის პროგნოზი გახლავთ, მე მაინც ვთვლი, რომ შესაძლებლობები თანაბარია. დღეს „ბაიერნზე“ უფრო ეფექტურად ვთამაშობდით, ძალიან ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა. თუკი შედეგის კანონზომიერებაზე ვილაპარაკებთ, რა თქმა უნდა, „ბაიერნს“ იღბალი ჰქონდა“.

კიევის მატჩის წინ გერმანელი მწვრთნელები ძალიან წუხდნენ, რომ თამაშში მონაწილეობას ვერ მიიღებდა „სუპერ-მარიო“ — ბრწყინვალე ოსტატი ბასლერი. სამაგიეროდ, იგი თამაშობდა მეორე შეხვედრაში მიუნხენში და ისეთი სილამაზის გოლი გაიტანა, რომლის დავიწყება, ალბათ შეუძლებელია. ამასთან, ეს ბურთი ერთადერთი და გადამწყვეტიც აღმოჩნდა. პირველ ტაიმში კიეველები ურიგოდ როდი თამაშობდნენ, მაგრამ მეორეში „ბაიერნი“ მაინც უკეთ გამოიყურებოდა. გამწარებული ლობანოვსკი პრესკონფერენციაზე არც კი მისულა. „ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენი მაესტროს გული კიდევ ერთხელ დაიდაღა“ — თქვა „დინამოს“ საპატიო პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა.

მაშ ასე, ოტმარ ჰითცფელდის სიტყვით რომ ვთქვათ, მისმა გუნდმა ის „51 პროცენტი“ გამოიყენა და ფინალში დამსახურებულად გავიდა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბაიერნი“. რას უნდა ველოდოთ ამ გადამწყვეტ შეხვედრაში? მიმომხილველთა უმეტესობა წინასწარ ერთგვარ უპირატესობას მაინც ინგლისელებს ანიჭებს, თუმცა, ვინ იცის...

ბივი თორელი

## 75+45+10 — ეს ხომ ასზე მეტია?

ბოლო ცნობებით ბარსელონაში თამაშის საყურებლად ჩადის 75 ათასი ინგლისელი და 45 ათასი გერმანელი. გარდა ამისა, 10 ათასი ბილეთი ადგილობრივ გულშემატკივრებს გამოუყვეს. მაგრამ „ნოუ კამპზე“ ხომ სულ 100 ათასი ადგილია. რა უნდა უყონ ამდენ მაყურებელს?

ბარსელონელი ხელისუფლები საკმაოდ შეშფოთებულნი არიან, მით უმეტეს იმის შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ნიუკასლ იუნაიტედის“ მატჩს „უემბლიზე“ ინგლისის თასის ფინალში დიდი არეულობა მოჰყვა, დააპატიმრეს მანჩესტერელთა 35 გულშემატკივარი.

ბარსელონაში იმ გულშემატკივართათვის, რომლებიც თამაშზე არ მოხვდებიან, ქალაქის მოედნებზე, აგრეთვე კაფეებსა და კინოთეატრებში დიდ ეკრანებს დადგამენ. ელიან ბილეთების დიდ სპეკულაციასაც.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ესპანური ფეხბურთის ამბები

● „მალიორკას“ საუკეთესო სნაიპერი დანი, ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, ახალი სეზონიდან „ლა-კორუნიაში“ გამოვა.

● **ესპანელი ფეხბურთელების ასოციაციამ წამოაყენა წინადადება ახალი სეზონიდან უცხოელი მოთამაშეების რიცხვის შემცირების შესახებ (ეს იმ ქვეყნებს ეხება, რომლებიც ევროკავშირში არ შედიან). პირველ დივიზიონში მოითხოვენ გუნდში სამი ლეგიონერის დაშვებას, მეორეში — ორისას.**

● „ლა კორუნიაში“ მოთამაშე ცნობილმა მაროკოელმა ნახევარმცველმა მუსტაფა ჰაჯიმ „პარი სენ-ჟერმენში“ გადასვლის წინადადება მიიღო.

● **ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე სტოვებს სევილიის „ბეტისს“ და „ოვიედოში“ გადადის. „ბეტისი“ ეძებს ახალ მწვრთნელს. ასახელებენ ბრაზილიელებს კარპეჯანისა და პარეირას.**

● მადრიდის „ატლეტიკოს“ გენერალური დირექტორი მიგელ ანხელ ჰილის (ცნობილი ჰესუს ჰილის შვილი) მოლაპარაკება აქვს მილანის „ინტერისათვის“ იუგოსლავიელ ნახევარმცველ ვლადიმირ იუგოვიჩის მიყიდვის თაობაზე.

● **ვიგოს „სელტას“ სურს შეიძინოს სან-პაულუს „სანტოსის“ ნახევარმცველი მარკოს ასუნსაო, რომელსაც ბრაზილიაში მაღალი რეპუტაცია აქვს.**

## ჩილავერტი კვლავ უარზეა

როგორც პარაგვაის ნაკრების მწვრთნელმა ევერ ალმეიდამ განაცხადა, იგი გუნდში 6-7 ლეგიონერზე მეტს არ მიიწვევს. რაც შეეხება გუნდის ყოფილ ლიდერს, განთქმულ მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტს, მან კვლავ უარი განაცხადა ნაკრებში დაბრუნებაზე.

პარაგვაის მთავრობამ, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში კვლავ არასტაბილური მდგომარეობაა, კვლავ განაცხადა თავისი მზადყოფნა „კოპა ამერიკას“ ჩატარების შესახებ.



## შედეგიანობაც ამას ჰქვია!

**ბრაზილიელმა ანდრადინამ რუსეთის პირველ დივიზიონში პირდაპირ ფურორი მოახდინა. მას ტულის „არსენალის“ შემადგენლობაში ყოველ მატჩში გოლები გაჰქონდა და ლიგის №1 სნაიპერიც გახდა. ახლა ტულის „არსენალის“ თავდასხმა, ძირითადად მისი დამსახურებით, მრისხანედ გამოიყურება, თვით ანდრადინამ კი უკვე 8 გოლი გაიტანა.**

**პირველ დივიზიონში ჭერჭერობით 5 გოლით მეორეა ვასო სეფაშვილი (ნალჩიკის „სპარტაკი“).**

## დისკვალიფიკაციის დამთავრების შემდეგ

როცა ზაზა ჯანაშიას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუმთავრდა, კორესპოდენტმა ჰკითხა:

— *ზაზა, როგორ გრძნობ თავს სასჯელის მოხდის შემდეგ?*

— რა თქმა უნდა, იოლი არ იყო მინდორზე გამოსვლა, მაგრამ ისეთი ხასიათი მაქვს ვერც კი შევნიშნე, როგორ გავიდა ეს დრო, მით უმეტეს, რომ ამ ხანებში გუნდი იგებდა.

— *თქვენი დაბრუნების შემდეგ „ლოკომოტივი“ უფრო მწვავედ თამაშობს.*

— დიახ, უფრო ძლიერად ამოქმედდა, მაგრამ მხოლოდ ჩემი დაბრუნების გამო არა. გუნდს თამაში გამოუვიდა და ახლა ყველა მატჩში მოგებისაკენ მივისწრაფვით.

## 116-ე და საბოლოო

**განთქმული რუმინელი ფეხბურთელი, „კარპატების მარადონად“ წოდებული გეორგე ჰაჯი 1983 წლიდან თამაშობს (ქვეყნის ნაკრებში) და ამ ხნის განმავლობაში 115 მატჩი აქვს ჩატარებული. ჰაჯის არაერთგზის უნდოდა ასაკის გამო ნაკრებში გამოსვლები შეეწყვიტა, მაგრამ ხელმძღვანელობა კიდევ და კიდევ მიმართავდა ხოლმე.**

**5 ივნისს რუმინელები ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში უნგრელებს შეხვდებიან, რომლებთანაც, ტრადიციულად, მეტად რთული ურთიერთობა აქვთ. როგორც გეორგე ჰაჯიმ (იგი, სხვათა შორის, ეროვნებით ბერძენია) განაცხადა, იგი აუცილებლად ითამაშებს, მაგრამ ეს იქნება, ერთდროულად, მისი ნაკრებთან გამომშვიდობებაც.**

## ქალზე თავდასხმის გამო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი როი კინი პოლიციამ დააპატიმრა მანჩესტერის ცენტრში ერთ-ერთ კაფეში ქალზე თავდასხმის გამო, რომელიც ავსტრალიის მოქალაქე აღმოჩნდა. რამდენიმე საათის შემდეგ პოლიციამ შესაძლებლად სცნო ჩემპიონის კაპიტნის განთავისუფლება.

## სარეკორდო თანხა პორტუგალიელისათვის

**ლისაბონის „სპორტინგის“ თავდამსხმელი, 19 წლის სიმან საბროზა ახალი სეზონიდან „ბარსელონას“ საკუთრება გახდება, რომელმაც 15 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს თანხა ამ მომენტში სარეკორდოა ოდესმე პორტუგალიელი მოთამაშისთვის გადასახადებში.**

## ცნობები ბრაზილიიდან

● **ბრაზილიური ექიმების ასოციაციამ მოითხოვა ქვეყნის ნაკრების ექიმებისათვის ლიცენზიის ჩამორთმევა. მათ ბრალად ედებათ ავადმყოფი რონალდოსათვის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში თამაშის ნებართვის მიცემა.**

● კლუბმა „ვასკო და გამამ“ და თავდამსხმელმა ლუიზანმა ერთმანეთს პრეტენზიები წაუყენეს. კლუბი ფეხბურთელს ლოთობასა და „ღამის კლუბებში ხშირად ყოფნაში“ ადანაშაულებს, ლუიზანი კი ამტკიცებს, რომ 1998 წლის იანვრიდან მოყოლებული, არავითარი ხელფასი არ მიუღია.

● **ბებეტო, რომელიც აქამდე რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგოში“ თამაშობდა, ახლა ამერიკულ „ნიუ-ჯერსი მეტროსტარზში“ გადადის. ამასობაში „ბოტაფოგომ“ ბრაზილიის თასის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.**

● როგორც ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ განაცხადა, იგი აპირებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში გამოიყენოს „ფლამენგოს“ თავდამსხმელი 33 წლის რომარიო და „ვასკო და გამას“ მცველი 37 წლის მაურო გალვანი.

● **„ფიორენტინას“ ამჟამად უკვე ყოფილი თავდამსხმელი ედმუნდო 30 მაისს თავის პირველ მატჩს ჩაატარებს „ვასკო და გამაში“.**

● „ფლამენგოს“ ხელმძღვანელობა აპირებს შეიძინოს რონალდო, რის შემდეგ, მისი აზრით, მსოფლიოში უძლიერესი თავდამსხმელთა წყვილი ექნება: რომარიო — რონალდო!

# იტალიური საფეხბურთო სამყარო

● მსაჯმა პიეტრო ჩეკარინიმ „ინტერისა“ და „სალერნიტანას“ მატჩში ივან სამორანოს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მსაჯს 1 თამაშით დისკვალიფიკაციასთან ერთად 2700 დოლარის ჯარიმაც დააკისრა.

● *რომის „ლაციომ“ „პარმასაგან“ შეიძინა მისი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, არგენტინელი ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი. რომის გაზეთ „ილ მესაჯეროს“ ცნობით, ვერონში „ლაციომ“ 29,7 მილიონი დოლარი გადაიხადა.*

● „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა ალესანდრო დელ პიერომ მუხლის ტრავმასთან დაკავშირებული 6-თვიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში დაიწყო. არც კი აცალეს და მისი გადაბირება უკვე რამდენიმე წამყვან კლუბს სურს.

● *„იუვენტუსი“ „ლა კორუნიას“ 20 მილიონ დოლარს სთავაზობს მის ბრაზილიელ ნახევარმცველ ფლავიო კონსეისაოში.*

● „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჟიო კრანიოტიმ 35 მილიონ დოლარად შეაფასა თავისი ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი.

● *ამ სეზონში შესანიშნავად თამაშობდა ცნობილ თავდამსხმელ ფილიპო ინძაგის („იუვენტუსი“) უმცროსი ძმა სიმონე, რომელიც „პიაჩენცაში“ თამაშობს. მისი გოლების წყალობითაც იყო, რომ კლუბმა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება შეინარჩუნა. ახლა სიმონეს მარჯვენივ და მარცხნივ ეპატიჟებიან.*

● როგორც იტალიელი მიმომხილველები თვლიან, მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობა მწარედ მოტყუვდა, როცა „ვენეციას“ ათხოვა შესანიშნავი ურუგვაელი თავდამსხმელი ალვარო რეკობა. სწორედ მან გაუტანა გოლი ამ სეზონში მეტად მარცხიანად მოთამაშე „ინტერს“.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ევროპული ჩემპიონატები

### ესპანეთი. XXXV ტური

ალავესი — ბარსელონა 1-4, დეპორტივო — სარაგოსა 2-1, ესპანიოლი — სალამანკა 4-0, ატლეტიკო — რასინგი 1-1, მალიორკა — ესტრემადური 2-0, ოვიედო — სელტა 1-3, სოსიედადი — ვალენსია 1-1, ვალიადოლიდი — ატლეტიკი 0-3; ვილიარეალი — ბეტისი 3-4, ტენერიფე — რეალი 2-3.

**ბარსელონამ სამი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა.**

***ლიდერობენ:*** ბარსელონა (73), მალიორკა (63), რეალი (62), დეპორტივო (61), სელტა (61), ვალენსია (59).

***ბომბარდირები:*** რაული (რეალი) 23 გოლი; რივალდო (ბარსელონა) — 21; კლაუდიო ლოპესი (ვალენსია) — 18.

### საფრანგეთი. XXXIII ტური

ბორდო — ლიონი 1-0, ოლიმპიკი — ოსერი 1-0, რენი — მეცი 1-0, ნანსი — მონაკო 1-2, ლორიენი — სოშო 4-1, ტულუზა — პსჟ 2-1, ჰავრი — მონპელიე 1-1, სტრასბური — ლანსი 1-1, ბასტია — ნანტი 1-0.

***ლიდერობენ:*** ბორდო (69), ოლიმპიკი (68), ლიონი (60).

***ბომბარდირები:*** ვილტორდი (ბორდო) — 20; ლასლანდი (ბორდო); კაველია (ლიონი) — 15.

### ჰოლანდია. XXXIV ბოლო ტური

გრაფსჰაპი — კამბური 2-2, ფორტუნა — ნაიმეგანი 2-3, ბრედა — აიაქსი 2-2 (მასპინძელთაგან ერთი გოლი ა. არველაძემ გაიტანა), უტრეხტი — ეინდჰოვენი 2-3, ვილემ II — ტვენტე 1-2, აზ-67 — მაასტრახტი 4-2, ფეიენოორდი — ვიტესი 2-1, ვაალვიკი — როდა 4-2, ჰერენვეენი — სპარტა 0-0.

***ლიდერთა ჯგუფი:*** ფეიენოორდი (80), ვილემ II (65), ეინდჰოვენი (61), ვიტესი (61). უმაღლესი დივიზიონი დატოვა „ბრედამ“.

### გერმანია. XXXIII ტური

ვოლფსბურგი — ბაიერი 1-0, ბაიერნი — ბოხუმი 4-2, ჰანზა — ნიურნბერგი 1-1, შალკე — აინტრახტი 2-3, ფრაიბურგი — ჰერტა 0-2, კაიზერი — დუისბურგი 3-0, ვერდერი — გლადბახი 4-1, ჰამბურგი — შტუტგარტი 3-1, დორტმუნდი — მიუნხენ-1860 3-1.

***ლიდერობენ:*** ბაიერნი (75), ბაიერი (63), ჰერტა (59), კაიზერი (57), ვოლფსბურგი (55).

***ბომბარდირები:*** პრეეცი (ჰერტა) — 20, კირსტენი (ბაიერი) — 18.



### იტალია. XXXIV. ბოლო ტური

პერუჯა — მილანი 1-2, ლაციო — პარმა 2-1, იუვენტუსი — ვენეცია 3-2, ინტერი — ბოლონია — 3-1, კალიარი — ფიორენტინა 1-2, ემპოლი — უდინეზე 1-3, სამპდორია — ბარი 1-0, ვიჩენცა — რომა 1-4, პიაჩენცა — სალერნიტანა — 1-2.

***ლიდერთა ჯგუფი:*** მილანი (70), ლაციო (69), ფიორენტინა (56), პარმა (55).

***სერია A დატოვეს:*** სალერნიტანა (38), სამპდორია (37), ვიჩენცა (33), ემპოლი (20).

### რუსეთი. VII ტური

სპარტაკი — როსტსელმაში 1-0, კრილია სოვეტოვი — ლოკომოტივი (მ) 1-2 (სტუმართაგან ორივე გოლი ზაზა ჯანაშიამ გაიტანა), ალანია — ქემჩუჟინა 2-2 (მასპინძლები მარცხისაგან გიორგი დემეტრაძემ იხსნა ბოლო წუთზე 11-მეტრიანი დარტყმით), ცსკა — როტორი 5-1, ზენიტი — ტორპედო 0-0, ჩერნომორეცი — დინამო 2-1, შინიკი — ლოკომოტივი (ნნ) 0-1, ურალანი — სატურნი 2-0.

***ლიდერობენ:*** სპარტაკი (28), ლოკომოტივი (მ) (17), დინამო (16), ტორპედო (16).

***ბომბარდირები:*** ტიხონოვი (სპარტაკი) — 7, ვერეტენიკოვი (როტორი), რომანჩენკო (დინამო), სემაკი (ცსკა), შირკო (სპარტაკი) — 5; დემეტრაძე — 4.

## „ზენიტი“ – მოსკოვის „დინამო“: რუსეთის თასის ფინალში

ხვალ, 26 მაისს მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე რუსეთის თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „დინამო“ (მწვრთნელი გიორგი იარცევი) და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ (მწვრთნელი ანატოლი დავიდოვი).

## ლატვიელს ძალიან აქებენ

ინგლისურმა „საუთჰემპტონმა“ რის ვაინაჩრობით მოახერხა თავის რიგებში ლატვიელი ლეგიონერის, რიგის „სკონტოს“ ყოფილ თავდამსხმელ მარიან პახარის ჩარიცხვა. ამისათვის მას უნდა დაემტკიცებინა, რომ პახარს აქვს ინგლისში მუშაობის უფლება.

ახლა ინგლისის პრესა ძალიან აქებს ლატვიის ნაკრების თავდამსხმელს, რომელმაც „საუთჰემპტონის“ შემადგენლობაში 3 მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და ამით შეუწყო ხელი მის პრემიერ-ლიგაში დარჩენას.

## სპორტის მინისტრი ტონი ბენკსი: „ცისფერები“ მრავლად არიან

როგორც ინგლისის სპორტის მინისტრმა ტონი ბენკსმა განაცხადა, ჰომოსექსუალისტმა ფეხბურთელებმა საყოველთაო განცხადება უნდა გააკეთონ თავიანთი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ სხვადასხვაგვარი ინსინუაციები დანარჩენ ფეხბურთელების მხრიდან. ამ განცხადებას საფუძველი იმან მისცა, რომ „ლივერპულ“ – „ჩელსის“ მატჩში რობი ფაულერმა შეურაცხმყოფელი ფორმით, გადაკვრით ჰომოსექსუალისტებს მიაკუთვნა გრემ ლე სო. მინისტრის თქმით, პრემიერ-ლიგაში ბევრი ჰომოსექსუალისტი თამაშობს, რომლებსაც ასევე ჰომოსექსუალისტ გულშემატკივართა დიდი აუდიტორია უჭერს მხარს.

## „სამწუხაროა ეს ყველაფერი!“

ამას წინათ, მოსკოვის ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვა მისცა წარსულში მოსკოვის „დინამოს“ ყოფილ ცნობილ ფეხბურთელს ვლადიმერ სავდუნინს.

● ***როგორ აფასებთ დღევანდელ ფეხბურთს?***

— სამწუხაროდ, იგი უფერული გახდა. დაიკარგა სტილი. მინდორზე ზოგჯერ რვა მცველი და ორი თავდამსხმელი გამოდის. გაიტანენ გოლს — კარგია, ვერ გაიტანენ — დიდად არ განაწყენდებიან. თავის დროზე, როცა ჩვენ ცდკას მეტოქეები ვიყავით, ჩვენთან გოლის გატანა ნებისმიერს შეეძლო, გნებავთ: ბობროვს, ფედოტოვს, გნებავთ დიომინს, გრინინს, ნიკოლაევს, ვიაჩესლავ სოლოვიოვს. თუმცა, რატომ მხოლოდ ჩვენთან. ნებისმიერ მეტოქეს თითოეული მათგანი თავზარს სცემდა. ჩვენ კი დღეს ერთსა და იგივე სურათს ვხედავთ: რომელიღაც გუნდს ერთ თავდამსხმელს გამოუთიშავენ თამაშიდან და საქმეც ამით მთავრდება.

● ***მაგრამ ჩვენ ხომ „სპარტაკი“ გვყავს, რომელმაც, ერთის გარდა, რუსეთის ყველა ჩემპიონატში გაიმარჯვა...***

— „სპარტაკიც“ არ არის. სამწუხაროდ, ნაკლოვანებებისაგან თავისუფალი. ჩვენი მრავალგზისი ჩემპიონი მართლაც საუკეთესოა, მაგრამ სუსტი გუნდების ფონზე.

● ***რითი ხსნით ყოველივე ამას?***

— არა მარტო ფეხბურთში, არამედ ჰოკეიშიც შეიმჩნევა მოთამაშეების მასობრივი წასვლა საზღვარგარეთ. გასაგებია, ცდუნება დიდია — იქ თამაშიც უფრო პრესტიჟულია, ცხოვრებაც — უკეთესი. ის-ის არის ისწავლიან ბურთზე ფეხის გარტყმას ან შაიბის სროლას, და მაშინვე უცხოეთში გაიქცევიან. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ფეხბურთელები ძირითადად უმნიშვნელო კლუბებში გამოდიან.

ჰოკეისტ ვალერი ხარლამოვის შვილი, იმის ნაცვლად რომ მოსკოვში ევარჯიშა, ოკეანის გადაღმა მესამეხარისხოვან ამერიკულ კლუბში წავიდა. შინ რომ დაბრუნდა, გამოირკვა, რომ ყველაფერი, რაც ჩვენმა მწვრთნელებმა ასწავლეს, დაკარგა. იმ ხარლამოვისაგან, რომელიც იმედებს იძლეოდა, აღარაფერი დარჩა მამის დიდი სახელის გარდა.

ვიაჩესლავ ფეტისოვი და მისი პარტნიორები სტენლის თასის გამარჯვებულების დონემდე იმიტომ ავიდნენ, რომ შეუპოვარი შრომის შედეგად სწორედ სამშობლოში იქცნენ ნამდვილ ოსტატებად.

— სევდიანად ვუყურებ დღევანდელ ფეხბურთელებს, ბევრი მეცოდება კიდეც. უნდათ გვიჩვენონ თავიანთი უნარი, ოსტატობა კი არა აქვთ. ჩემს დროს მათ, ვინც შესანიშნავად თამაშობდა, ბაძავდნენ კიდეც. ახლა საუკეთესო ფეხბურთელები საზღვარგარეთ წავიდნენ, ვის უნდა მიბაძო. სამწუხაროდ, ზოგ მწვრთნელს ადამიანობაც ყოველთვის არა აქვს. ოდნავი დაუთანხმებლობისათვის აძევებენ ნიჭიერ ფეხბურთელს. სამწუხაროა ეს ყველაფერი.

## რეზო ძოძუაშვილი აკვირდება...

საქართველოს ნაკრების წევრებს, რომლებიც რუსეთის ლიგაში თამაშობენ, ამას წინათ იგი დაესწრო ვლადიკავკაზის „ალანიის“ მატჩს.

— მინდოდა მენახა საქართველოს ნაკრების ზოგი მოთამაშე, ჩვენი მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში. წერეთელი, მაგალითად, სულ უკეთ თამაშობს და ამტკიცებს, რომ ღირსეულად უკავია ადგილი ნაკრებში. რაც შეეხება დემეტრაძეს, მას კიდევ უკეთესად შეუძლია თამაში, მენდეთ, მას კარგად ვიცნობ.

● „სკონტოში“, სადაც მწვრთნელ-კონსულტანტად მუშაობთ, თითქოს ყველაფერი წესრიგში არ უნდა იყოს.

— დიახ, ახლა ლატვიაში ორი გუნდი გამოჩნდა, რომლებსაც შეუძლიათ „სკონტოს“ მეტოქეობა გაუწიონ. ესენია ლიეპაის „მეტალურგი“ და „ვენტსპილსი“ კარგი კონკურენცია კი მახარებს, როგორც „სკონტოს“ მწვრთნელსა და ნაკრების მთავარ მწვრნელს, რომელსაც შეუძლია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში გასვლა.

*(პირველი გვერდიდან)*

## ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

რიდონიძე, ა. ხუჯაძე, რ. ძოძუაშვილი, ი. ხომიაკოვი, გ. დუნდუა, გ. ფირცხალავა, გ. სილაგაძე, გუნდს წვრთნიდა სპორტის ოსტატი ჯ. რუხაძე. იმავე წლის საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ, „ტორპედო“ საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ირანს ესტუმრა, სადაც სამი მატჩი გამართა ამ ქვეყნის უძლიერეს გუნდებთან. სტუმრებმა პირველ მატჩში დაამარცხეს ირანის ცნობილი საკლუბო გუნდი „ტაჯი“ – 3-0, ხოლო მეორე მატჩში მოულოდნელი დამარცხება იწვნიეს „დარაიასთან“ შეხვედრაში ანგარიშით 1-2. მესამე მატჩში ტორპედოელებმა ანგარიშით 1-0 დაამარცხეს „შაჰინის“ ფეხბურთელთა გუნდი.

1963 წლისთვის ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ „ა“ კლასში მონაწილე გუნდების რიცხვი გაზარდა 38-მდე. გუნდები დაყოფილი იქნა ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში გამოდიოდა 20 კოლექტივი, ხოლო მეორეში – 18. საიუბილეო 25-ე საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლებისათვის ჩვენი ქვეყნის პირველხარისხოვან უძლიერეს საკლუბო გუნდებთან ერთად ქუთაისელი ფეხბურთელებიც იბრძოდნენ.

ასევე წარმატებით იასპარეზა რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე „იმერეთის“ ფეხბურთელთა გუნდმა. ჯერ იყო და გუნდი საქართველოს თასის მფლობელი გახდა, ხოლო რესპუბლიკურ ჩემპიონატზე „იმერეთი“ ყველასათვის მიუწვდომელი იყო და სამართლიანად დაიკავა პირველი საპატიო ადგილი.

სამწუხაროდ, აღნიშნული წარმატება უკანასკნელი იყო ქუთაისელი ფეხბურთელებისათვის, 1964 წლიდან ქუთაისის „იმერეთს“ ვეღარ ვხედავთ ფეხბურთის მწვანე მინდორზე.

თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, გუნდი გაჰქრა საფეხბურთო სამყაროდან. სრულიად მოულოდნელად „იმერეთი“ დაიშალა, რადგან ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ, რომლის ბაზაზედაც არსებობდა გუნდი, ვერ შეძლო სათანადო თანხის გამონახვა და რაც მთავარია, ქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დროზე არ მიიღეს სათანადო ზომები.

„იმერეთში“ თამაშობდნენ „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან არსებული მოსამზადებელ ჯგუფში აღზრდილი ჭაბუკი ფეხბურთელები: ს. კუტივაძე, ა. ავალიანი, რ. ძოძუაშვილი, ჯ. ხერხაძე, ე. ჩხენკელი და სხვები, რომლებიც „იმერეთში“ დაოსტატდნენ, ხოლო შემდეგ წლების მანძილზე ქართული ფეხბურთის ავანგარდში იდგნენ.

მოხდა ისე, რომ 60-იან წლებში ფართოდ გაგვიტაცა რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის ქუთაისის „ტორპედოს“ ასპარეზობამ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ჯერ ყურადღება მოვადუნეთ, შემდეგ ზურგი შევაქციეთ და ბოლოს ხელი ჩავიქნიეთ ისეთი საინტერესო და პერსპექტიული ფეხბურთელებისაგან დაკომპლექტებული გუნდებისადმი, როგორებიც იყვნენ: „დინამო“, „ტორპედოს“ I გუნდი, „სპარტაკი“, წერეთლის ქუჩაზე მდებარე კლუბის გუნდი, „იმერეთი“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი და სხვა.

ეს დიდი, გამოუსწორებელი შეცდომა იყო, რომლის ნაყოფს სამწუხაროდ დღესაც ვიმკით.

1963 წლის საკავშირო ჩემპიონატზე კარგად იასპარეზეს ავტოქარხნელმა ფეხბურთელებმა. რაც მთავარია, „ტორპედოელები“ წარმატებით ასპარეზობდნენ გასვლით შეხვედრებში, რაც მანამდე აქილევსის ქუსლი იყო მათთვის. გამარჯვება მოსკოვში ადგილობრივ არმიელებთან და „ლოკომოტივთან“ მატჩებში, ფრე კიევში ადგილობრივ დინამოელებთან შეხვედრაში მიგვანიშნებდა გუნდის მაღალ ბრძოლისუნარიანობაზე და სათანადო ფსიქოლოგიურ მომზადებაზე. სწორედ იმ დღეს განმტკიცდა აზრი ფეხბურთის სპეციალისტებს, ჟურნალისტებსა და მაყურებლებს შორის, რომ „ტორპედო“ დედაქალაქის გუნდების ერთ-ერთი საშიში მეტოქე იყო.

1964 წლის საკავშირო ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში ქუთაისში 20 მარტს საინტერესო მატჩი გაიმართა. ადგილობრივი ტორპედოელები მასპინძლობდნენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდს.

გუნდების საბრძოლო შემადგენლობა ასეთი იყო:

ოლიმპიური ნაკრები: ი. ბაუჰა, ე. პონომარიოვი, ა. შესტერნიოვი, ე. მუდრიკი, ვ. მასლოვი, ვ. ანიჩკინი, ვ. ფადეევი, ვ. სერებრიანიკოვი, ე. მოლოფეევი, ა. ბიბა, ვ. ლობანოვსკი. ტორპედოელთა რიგებში იყვნენ: რ. ურუშაძე, რ. კვასხვაძე, ი. ლოსაბერიძე, ე. თორაძე, ო. სიამაშვილი, ს. კუტივაძე, რ. ისიანი, გ. ნიშნიანიძე, ა. ავალიანი, რ. სირაძე, ვ. ჩხარტიშვილი, ჯ. ხერხაძე, გ. მუმლაძე და ზ. ბულია.

საინტერესო მატჩი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, რომელიც დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 3-2.

სუსტად აიღეს სტარტი ტორპედოელებმა 26-ე საკავშირო ჩემპიონატზე. მათ საკუთარ მოედანზე დათმეს ქულები მოსკოვის „სპარტაკთან“, მინსკის „დინამოსთან“, კიევის დინამოელებთან შეხვედრებში. ამ მძიმე პერიოდში „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელად კვლავ მოევლინა ა. ჟორდანია, რომელმაც მთელი რიგი რადიკალური ზომები განახორციელა. ა. ჟორდანიას ხელი სულ მალე დაეტყო გუნდის თამაშს და სამ მატჩში „ტორპედომ“ ხუთი ქულა აიღო ისეთ ძლიერ გუნდებთან ჭიდილში, როგორებიც იყვნენ: მოსკოვის „დინამო“, „ტორპედო“, და ბაქოს „ნეფთჩი“. 25 აგვისტოს ტორპედოელებმა გასვლით შეხვედრაში ანგარიშით 1-0 დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი“, აღსანიშნავია, რომ ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში გუნდის დებიუტანტმა გ. დუნდუამ გაიტანა. აღნიშნულმა გამარჯვებამ გუნდს ნათელი პერსპექტივა დაუსახა.

როგორი იყო ამ დროისათვის უმაღლესი ლიგის გუნდების სატურნირო მდგომარეობა? გათამაშების ცხრილს დამაჯერებლად ედგა სათავეში მოსკოვის „ტორპედო“ ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ფეხბურთელთა კოლექტივი, რომლის ავანგარდს საკმაოდ აღიარებული ფეხბურთელები: ა. კავაზაშვილი, ვ. ივანოვი, ე. სტრელცოვი, ვ. ვორონინი და სხვები შეადგენდნენ, ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი იყო ჩვენი ქვეყნის 1964 წლის ჩემპიონატის ოქროს მედლებისა, მაგრამ მოსკოველთა გუნდში ბზარი გაჩნდა.

ყოველივე ეს მოხდა 6 ოქტომბერს ქ. ქუთაისში ადგილობრივი და მოსკოვის ტორპედოელთა მატჩში. როგორც სტუმრებს, ასევე მასპინძლებსაც ჰაერივით 2 ქულა სჭირდებოდათ. მოსკოველები გამარჯვების შემთხვევაში მტკიცედ ინარჩუნებდნენ ლიდერის პოზიციას, ხოლო ქუთაისელებს 2 ქულის დაკარგვის შემთხვევაში არავითარი თეორიული შანსი აღარ რჩებოდა „ა“ კლასში დარჩენისათვის. ბუნებრივია, ყოველივე ამან მატჩის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მოეწყო ტრანსლაცია, როგორც რესპუბლიკური, ასევე საკავშირო რადიოსათვის.

დაიწყო მატჩი და მკვეთრად გამოიხატა ქუთაისელთა უპირატესობა. სტუმრების ყველაზე სახიფათო ფორვარდები საიმედოდ ჩაკეტეს ქუთაისელებმა. ვ. ივანოვს აჩრდილივით დასდევდა ნ. სარჯველაძე, ხოლო ო. სერგეევს „სულის მოთქმის“ საშუალებას არ აძლევდა ო. ლოსაბერიძე. ეს იყო ლამაზი ტექნიკური ფეხბურთი, სადაც ორივე გუნდმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, ერთ-ერთ მომენტში ვ. ივანოვი შეიჭრა ქუთაისელთა საჯარიმო მოედანზე, ბურთი მკერდზე აიგდო და მცველებით გარშემორტყმულმა მერე ძირს დაუშვა კარებში დასარტყმელად, მაგრამ ი. ლოსაბერიძემ ურთულესი აკრობატული ნახტომით ბურთი თვალსა და ხელშუა აართვა ცნობილ ფორვარდს.

ერთადერთმა ბურთმა, რომელიც გაიტანა ჯ. ხაჟალიამ სანუკვარი ორი ქულა მოუტანა ქუთაისელ ფეხბურთელებს, ხოლო მოსკოვის ტორპედროელებს დიდად გაუმრუდათ გზა ჩემპიონობისაკენ, რადგან თბილისის „დინამო“ უკვე წამოეწია გათამაშების ლიდერს.

მორიგ ტურში კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ტორპედოელებმა, მათ დიდი ანგარიშით 4-1 დაამარცხეს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი როსტოვის არმიელთა კოლექტივი, რომელიც პრეტენზიებს აცხადებდა ბრინჯაოს მედლებზე და ბოლოს, აღსანიშნავია ქუთაისელ ფეხბურთელთა მორიგი გამარჯვება მოსკოვში ადგილობრივ დინამოელებთან შეხვედრაში.

ამასთან დაკავშირებით მოსკოველი ჟურნალისტი ვ. პავლოვი წერდა: „უკვე სამი წელია „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფში გამოდის ქუთაისის „ტორპედო“ და იგი ჯერ კიდევ ამოუხსნელ ამოცანად რჩება ჩვენთვის. მიმდინარე გათამაშებაში ქუთაისელები თავიდან ბოლომდე სახიფათო ზონაში იმყოფებიან და სულ ინარჩუნებენ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებს, მაგრამ საოცარია ის, რომ ქუთაისელები ქულებს ძირითადად ძლიერ გუნდებთან შეხვედრაში იღებენ, ხოლო კარგავენ სწორედ მათთან, ვისთანაც უშუალოდ იბრძოდა მე-13 ადგილისათვის.

მოსკოვის დინამოსთან ბოლო მატჩში მათ მხოლოდ მოგება აწყობდათ, რის შემდეგ დამატებით მატჩში იბრძოლებდნენ გორკის „ვოლგასთან“ „ა“ კლასში დარჩენისათვის. და სამხრეთელები თავიანთი ტრადიციის ერთგულნი დარჩნენ. მიუხედავად იმისა, რომ „დინამო“ თამაშობდა ძირითადი შემადგენლობით, ქუთაისელებმა საუკეთესოდ ითამაშეს თოვლში (-6 გრადუსი), ხაჟალიამ და ჩხარტიშვილმა ორი მშრალი ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში (გაზ. „ფუტბოლი“ 1964 წ.)

მაშ ასე! – ტორპედოელებმა გორკის „ვოლგასთან“ ერთად თანაბარი ქულები დააგროვეს და მათ შორის დამატებით შეხვედრას უნდა გაერკვია თუ ვინ შეინარჩუნებდა ადგილს უმაღლეს ლიგაში.

# „ოსკარი“ – ანანდს

მოსკოვის ყოველკვირეულმა „64-შახმატნოე ობოზრენიემ“ ჩაატარა საჭადრაკო ჟურნალისტების ყოველწლიური გამოკითხვა პოპულარული ჯილდოს „ოსკარის“ მისაკუთვნებლად. ამჯერად უნდა გამოვლენილიყო 1998 წლის საუკეთესო მოჭადრაკე. გამოკითხვაში ჩვენი წარმომადგენელიც მონაწილეობდა.

დიდი უპირატესობით „ოსკარი“ მიენიჭა განთქმულ ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდს. მეორე ადგილზეა მოსკოველი ალექსანდრ მოროზევიჩი. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა.

# სარაევოს სუპერტურნირზე

სარაევოს (ბოსნია და ჰერცოგოვინა) სუპერტურნირს ფიდემ მე-19 კატეგორია მიაკუთვნა. ასეთი მაღალი დონის ასპარეზობა წლეულს მეოთხედ (ვეიკ-ან-ზეეს, ლინარესისა და დოს-ერმანასის შემდეგ) იმართება.

შეჯიბრებას, გასაგებია, განსაკუთრებულ ხიბლს მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მონაწილეობა ანიჭებს. რაც შეეხება სრულიად ახალგაზრდა დიდოსტატ ალექსანდრ მოროზევიჩს, რომელმაც შარშან ზედიზედ მოიგო 8 ტურნირი, იგი ასეთი მაღალი დონის შეჯიბრებაში, სუპერტურნირში საერთოდ პირველად მონაწილეობს. კასპაროვმა ტურნირი ორი ყაიმით დაიწყო, მაგრამ მომდევნო სამ ტურში ორნახევარი ქულა მოაგროვა. მოროზევიჩმა ასევე ჩინებულად ითამაშა, 5 ტურში ორი პარტია მოიგო, დანარჩენი კი ყაიმით დაასრულა. ამრიგად, შეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ 3,5-3,5 ქულით გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ კასპაროვი და მოროზევიჩი. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ალექსეი შიროვი (ესპანეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი) და ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი).

# ბაკროს გამარჯვება

*ლოზანაში (შვეიცარია) დამთავრდა საინტერესო საერთაშორისო ტურნირი თანამედროვეობის 8 უძლიერესი ახალგაზრდა დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით.*

*ისინი ორ ჯგუფად დაჰყვეს, სადაც შეჯიბრება წრიული სისტემით მიმდინარეობდა: პირველი ჯგუფი შეადგინეს უკრაინელმა რუსლან პონომარიოვმა (მეტად მაღალი რეიტინგით – 2609), ფრანგმა ეტიენ ბაკრომ (2561), 17 წლის საერთაშორისო ოსტატმა დმიტრი ბუნზმანმა (2555) გერმანიიდან და მსოფლიო ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის დარმენ სადვაკასოვმა (ყაზახეთი, 2487). მეორე ჯგუფში მოხვდნენ 19 წლის კარენ ასრიანი (სომხეთი, 2576), რაფაელ ლეიტაო (ბრაზილია, 2545), რუსტამ კასიმჯანოვი, (უზბეკეთი, 2595) და იანიკ პელეტიე (შვეიცარია, 2518).*

*ჯგუფებში გაიმარჯვეს სარვაკასოვმა (2 ქულა) და ასრიანმა (2,5 ქულა). ამის შემდეგ რვა მონაწილემ შეადგინა მეოთხედფინალური წყვილები, რომლებმაც ოლიმპიური სისტემით გააგრძელეს ბრძოლა.*

*აქ ბაკრომ დაამარცხა ასრიანი, სადვაკასოვმა – კასიმჯანოვი, პელეტიემ – ბუნზმანი. პონომარიოვმა – ლეიტაო.*

*ნახევარფინალში ბაკრომ მეტად მძიმე ბრძოლაში მოუგო პელეტიეს. მას შემდეგ, რაც ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა და თანაბარი შედეგი – 1-1 მოიტანეს სწრაფმა შეხვედრებმა, ფრანგმა უპირატესობა მოიპოვა „ბლიცში“ – 2-0. მეორე ნახევარფინალში პონომარიოვმა მოუგო სადვაკოსოვს, რომელთანაც წინასწარ ტურნირში დამარცხდა.*

*მაშ ასე, ფინალში გავიდნენ ბაკრო და პონომარიოვი. აქ 16 წლის ფრანგმა მოუგო 15 წლის უკრაინელს და პირველ პრიზს დაეუფლა.*




# ლემბიტ ოლის თვითმკვლელობა

როგორც რადიო „სვობოდას“ კორესპონდენტი ტალინიდან იუწყება, აქ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ესტონეთის უძლიერესმა დიდოსტატმა ლემბიტ ოლმა. 32 წლის ოლი მაღალი სართულიდან გადმოხტა.

როგორც დიდოსტატის მწვრთნელმა, ცნობილმა მოჭადრაკემ ივო ნეიმ განაცხადა, ოლი ბოლო წლებში ფსიქიური ხასიათის პრობლემებს განიცდიდა, ძლიერ წამლებსაც იღებდა...

# „ტოტო-ლოტო“ – მილიონთა თამაში!

*23 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეოცე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**3. 4. 9. 19. 35. 37.**
3 ციფრი – 1.60 ლარი.
4 ციფრი – 17.70 ლარი.
5 ციფრი – 582.20 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი“ 32 824 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **7. 8. 1. 6. 9. 9. 5.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 30 მაისს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი-98“-ის და „ოლიმპის“ მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები, რომლებიც წილად ხვდათ: ლატარია „ოლიმპ“-ში – ვიქტორ მელიქიძეს (ახალციხე) – ბილეთის №066195, ბესიკ ცხვარიაშვილს (თბილისი) – ბილეთის №028563.

ლატარია „გოლი-98“-ში ოლეგ კალანდაძეს (თბილისი) – ბილეთის № 03958-030, კარინა ბარსეგოვას (თბილისი) – ბილეთის №03958-177. ამასთან ერთად, გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიის ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში. მის: ჟ. შარტავას №40. „გოლი-98“-ის და „ოლიმპ“-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზების გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს!

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

# ოცეულები „როლან გაროსის“ წინ

გუშინ სტარტი აიღო საფრანგეთის ღია პირველობამ, სახელგანთქმულმა როლან გაროსმა, „დიდი მუზარადის“ პირველმა წლევანდელმა შეჯიბრებამ.



ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ „მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების ახლანდელ „რეიტინგლისტს“.

*ვაჟები:* 1. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 3371, 2. პიტ სამპრასი (აშშ) – 3317, 3. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) – 3298, 4. კარლოს მოა (ესპანეთი) – 3080, 5. რიჰარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) – 2863, 6. ალექს კორეტჰა (ესპანეთი) – 2849, 7. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) – 2671, 8. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) – 2441, 9. მარსელო რიოსი (ჩილე) – 2422, 10. მარკ ფილოპუსისი (ავსტრალია) – 2287, 11. ტოდ მარტინი (აშშ) – 2216, 12. კაროლ კუჩერა (სლოვაკია) – 2185, 13. გრეგ რუსედსკი (ინგლისი) – 2126. 14. ანდრე აგასი (აშშ) – 2101, 15. ფელიქს მანტილია (ესპანეთი) – 2053, 16 გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) – 1813, 17. თომას ენკვისტი (შვეცია) – 1739. 18. თომას იუჰანსონი (შვეცია) – 1650, 19. ტომი ჰაასი (გერმანია) – 1650. 20. ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) – 1610.

*ქალები:* 1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 5593, 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ), – 5047, 3. მონიკა სელეში (აშშ) – 3982, 4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) – 3588, 5. ვენუს უილიამსი (აშშ) – 3527, 6. შტეფი გრაფი (გერმანია) – 3163, 7. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) – 3074, 8. მარი პირსი (საფრანგეთი) – 2563. 9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) – 2163, 10. სერენა უილიამსი (აშშ) – 2089, 11. პატი შნაიდერი (შვეიცარია) – 2027, 12. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) – 1915, 13. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) – 1914. 14. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) – 1845, 15. ბარბარა შეტი (ავსტრია) – 1723. 16. ჟიული ალარ-დეკიუჟისი (საფრანგეთი) – 1707. 17. ნატალია ზვერევა (ბელორუსია) – 1678. 18. ამალია მორესმო (საფრანგეთი) – 1664. 19. ირინა სპრილია (რუმინეთი) – 1629. 20. ანა კურნიკოვა (რუსეთი) – 1611 და ა.შ.

* * *

● **სტრასბურგში** დამთავრდა ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. აქ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გაიბრწყინა ახალგაზრდა ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ, რომელმაც ფინალურ მატჩში ასევე ახალგაზრდა რუს ოსტატ ელენა ლიხოვცევას სძლია.

# „ქალისა და ხელოვნების შერწყმა მოხდება“

„როლან გაროსის“ წინ კორესპონდენტს ესაუბრა ჩოგბურთის ცნობილი სპეციალისტი ლარისა პრეობრაჟენსკაია.

● ***დღევანდელ ჩოგბურთში მარტინა. ჰინგისის სტილს დები უილიამსების თამაშის ძალისმიერი მანერები უპირისპირდება. როგორ ფიქრობთ, რითი დამთავრდება ეს შეპაექრება?***

— დებმა უილიამსებმა ქალთა ჩოგბურთში გარკვეული სიახლე შეიტანეს. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჰინგისს მეტი პერსპექტივა აქვს. იგი ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებს უფრო მოქნილად უდგება. მართალია, ამ თვალსაზრისით დებიც იცვლებიან. ჰინგისი უკვე მწვერვალზეა, მან თავისი პოზიცია უნდა შეინარჩუნოს, ეს კი ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე შეტევა.

● ***და მაინც, ვინ იტყვის ბოლო სიტყვას: დები უილიამსებისა და ამალია მორესმოს ყაიდის მოთამაშეები თუ ჰინგისის მსგავსი ჩოგბურთელები?***

— ჩემი აზრით, ყველაფერი ძალისა და ხელოვნების შერწყმით დამთავრდება და ქალთა ჩოგბურთი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა.

რა ხდება ქვეყანაზე

# როცა ყვავჯს... მუშტებსაც „წაახმარენ“

ნხლ-ის დივიზიონების ჩემპიონატის ბოლოს ტრადიციულად გამოვლინდნენ აქტიური „პოლიციელები“ (მოჩხუბრები). აღმოსავლეთის დივიზიონში ეს ტიტული წილად ხვდა პოლონელ ლეგიონერს კრიშტოფ ოლივეს („ნიუ-ჯერსი დევილზ“), რომლის ანგარიშზე ამ სეზონში 28 მუშტი-კრივია, მას კონკურენციას დივიზიონში უწევდნენ „ტორონტოში“ მოთამაშე ალბანელი ტეი დომი და „ფლორიდის“ მცველი პოლ ლოსი და ფორვარდი პიტერ უორელი — 20-20 შეტაკება.

სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგულარულ პირველობაში კი თავი გამოიჩინეს „პანტერებმა“, რომლებიც 82 შეხვედრიდან 72-ში მუშტებით არკვევდნენ ურთიერთობას. ლოსისა და უორელის მხარს უმაგრებდა ჩხუბში... მეკარე შონ ბურკი. იგი მიჩნეულია სეზონის ყველაზე „ცხარე მეკარედ“.

ცენტრალურ დივიზიონში „ნეშვილ პრედეტორზისა“ და „ლოს-ანჯელესის“ მატჩში კალიფორნიელმა შონ ოდონელმა ჯერ ყვანჯი უთავაზა კლიფ რონინგს, შემდეგ კი სერგეი კრივოკრასოვიც არ დაინდო. ეს „სიამოვნება“ მას 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 10 ათასი დოლარი ჯარიმა დაუჯდა. ეს თანხა ტრადიციულად გადაირიცხება ნხლ-ელ გადამდგარ ჰოკეისტთა ფონდში.

ვერც სან-ხოსე ბარკსის (წყნარი ოკეანის დივიზიონი) 21 წლის რუსმა ლეგიონერმა ანდრეი ზიუზინმა მოთოკა თავისი ნერვები „ანაჰაიმთან“ შეხვედრაში, როცა „პოლიციელ“ ტი მაკენზის ისე ძლიერად მოუქნია ყვანჯი, რომ ტვინის შერყევა დაემართა. ლეგიონერი ასეთი სიფიცხისათვის პლეი-ოფის 2 მატჩის დისკვალიფიკაციით დაისაჯა. სულ კი იგი რეგულარული ჩემპიონატის 12 და 2 სტენლის თასის გამოტოვებული მატჩის ხელფასს ვერ მიიღებს, რაც კარგა გვარიან თანხას შეადგენს.






**მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები**

**25 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 19.15, 21.30), „ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ“ (17.00, 23.50). გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.00). ***НТВ плюс спорт.*** ბრძოლა წესების გარეშე (0.10). **ESPN.** კალათბურთი. ნბა (18.00). ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი, იტალიიდან (12.00), ფეხბურთი. ევროგოლები (13.00), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (14.00, 20.00).

**26 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს თასი. ფინალი: ტორპედო (ქუთაისი) – „სამგურალი (წყალტუბო) (17.55). ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი (23.30). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია“ (მიუნხენი) – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) – 23.35, 0.35. ***ევრიკა.*** „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“, დოკუმენტური ფილმი (21.15), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის (13.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00, 22.15), „ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ“ (17.15, 19.15), ჰოლანდიის ჩემპიონატი (19.45), ჩემპიონთა ლიგა. ფინალი: „ბავარია“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (23.05, 23.35). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 10.00, 10.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი: 22.00 – მატჩის წინა მიმოხილვა, 22.30 – პირდაპირი ტრანსლაცია – „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ბავარია“ (მიუნხენი). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 13.30).

**27 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჯემალ ცერცვაძე – 50 წლისთავთან დაკავშირებით (23.20), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევრიკა.*** „ფეხბუთის ლეგენდები“ (21.30). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.15), ჰოლანდიის ჩემპიონატი (14.15, 19.20), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.00), ჩემპიონთა ლიგა. ფინალი, ვიდეოჩანაწერი (16.50), შოტლანდიის ჩემპიონატი (21.50), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“ (22.55), ევროპის საფეხბურთო კვირეული (23.40). ***ESPN.*** ფეხბურთი. ევროპის საფეხბურთო კვირეულის მიმოხილვა (22.00, 0.30). ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (20.00, 2.00).

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კიკნაძე, 3. გალიეგო, 4. ტანდემი, 6. ალდაირი, 12. მილა, 15. აზია, 18-20. კაპრიატი, 20. იამანიძე, 22. ინსი, 25 იერო, 30. არბიტრი, 32. ანგლომა, 33. ირიბარი, 35. ურუშაძე. **შვეულად:** 1. კოპა, 2. ეტლი, 3. გუდაური, 5. იაშვილი, 7-20 ალიოხინი, 12. მეტიუზი, 13. ამოკაჩი, 15. ალბერტი, 16. ამოროზო, 20. იარიგინი, 23. ნოვოტნა, 26. რუდოლფი, 30, არაუ, 31. ილიე. **დიაგონალურად:** 3-9. გურია, 13-6. აიალა, 8-15. იებოა, 11-5. ბორგი, 24-30. იჯარა, 32-27. აუიტა, 31-25. იორკი, 29-34. რაგბი. **წრეზე:** 19-10 პერეკი, 19-28. პოპოვი, 10-21. ისინდი, 28-21. ინძაგი, 14-17. ხახალეიშვილი.

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს ამავე სამმართველოს თანამშრომელს დავით ბერიძეს ᲨᲕᲘᲚᲘᲡ გარდაცვალების გამო.**

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლc8! მუქარა 2. მe7X.
1. ...მc6 2. ლ:d7X. 1. მd5 2. ლc2X.
1. ...ეe8(ე:c8) 2. მh4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე